ეორე წელიწადი ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 16 თიბათვე 1916 წ. № 133

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი ... ... ... ... კნელზე—10 კ., ... ...
ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ფასი ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ღრმად დამწუხრებულნი ილია იოსების ძე მეუღლით, სიმონ იოსების ძე ცოლშვილით და შალვა ილიას ძე მენთეშაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველისა და, მეორის დისწული, მხოლოდ უკანასკნელის მამიდაშვილი

## შალვა (შალიკო) დავითის ძე
## ჯავახიშვილი

გამოსვენება, დღეს, 16 თიბათვეს, საფერშლო სკოლის ბინიდან მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში 9 ნახ. საათზე.
დაკრძალვა კუკიის წმინ. ნინოს სასაფლაოზე.
(1-225-1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)
**ხუთშაბათს, 16 თიბათვეს**
## სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი
**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.**
სტუმრები შედიან კლუბში საზოგადო წესით
(1-139-1)

## ვაგზლის სამკურნალოში
**(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)**
## სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოხელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

## ვამზადებთ
**პიროვნით** ხელმისაწვდომ ფასებში
## პრაპორშჩიკთა შკოლისათვის
მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება საღამოს 6—7 საათამდე.
**მისამართი:** მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. 25—128—5

**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**
ექიმი
## ა. დ. შაჰაბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**
## ახალი აფთიაქი
**პროვიზორის ახვლედიანისა**

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
**უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა** სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**დ. ზესტაფონში**
ექიმი
## დ. კ. მაჭავარიანი
**იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე**

ექიმი
## მ. ი. ვაჩნაძე
იღებს **ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს** მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—3)

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში** კორპუსის ბანაკში

**კბილის ექიმმა**
## მამულაიშვილმა
**(ხოდნევისამ)**
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღის ქუჩა, № 22.

**ექიმი-დოხტაძარი**
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზნიეზდის ქუჩა, № 19.

ღვინის საწყობი
## ნიკო გ. სესიაშვილისა
**იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი**
## კახური ღვინო
**განოვის ქუჩა № 4.**
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

## სავაჭრო სახლი
## „ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
## ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

### თბილისი, 16 თიბათვე

**სახალხო მასწავლებელთა ყრილობის გამო.** შეგნება თუ არის, სოფლის მასწავლებელი ეროვნული იდეალებისა და ზრახვების მატარებელი და დამრგველი უნდა იყოს. მთელი მისი მოღვაწეობა, სოფელში ხდება, მთელი მისი ძალა და ენერგია სოფლის პატარა ქალ-ვაჟის აღზრდაზე იხარჯება და სოფლის ხალხის გათვითცნობიერებას უნდა შეალიოს. არსად არ არის ეროვნული სახე მთელის სისავსით ისე წარმოდგენილი, ისე უმწიკვლოდ და სხვა ელემენტებ-შეურეველი, როგორც სოფელში. სოფლელობა, ხალხოსნობა და ეროვნული სახეობა ერთი მეორეზე მტკიცედ და გაუსხნელად არის დაკავშირებული. სოფლის მასწავლებელი, რომელიც თავის დანიშნულებისა და პროფესიის ძალით, ორგანიულად შედუღებულია სოფლის ეროვნულ ხაზების სიწმინდესთან, თავის არსებით ამ ხაზების განმტკიცებას და გაფაქიზებას უნდა მსახურებდეს. მისი გონება და ფიქრი მისი გრძნობა და მისწრაფება მუდამ იმაზედ უნდა ზრუნავდეს, თუ რანაირად და რა ხერხით შეუწყოს ხელი ამ არეულ თვისებების მაღალ გაფურჩქვნას და ეროვნულ კულტურის მტკიცედ დამყნას და განმტკიცებას იმ ფართე წრეში, რომელსაც სოფელი ჰქვიან და რომელიც თუ მთელს არა, ჩვენი ერის 95—98% შეადგენს.

სოფლის მასწავლებლის გონების და გრძნობის ბუნებრივი ორგანიული ფუნქცია სწორედ ეს უნდა იყოს. მთელი ქვეყნის სოფლის მასწავლებლები ამ ზნეობრივ კმაყოფილებით უფრო საზრდოობდენ და საზრდოობენ ვიდრე ნივთიერ საკვებით, თუ შეიძლება ასე ითქვას. სოფლის მასწავლებელში უფრო იდეალური მხარე სჭარბობდა და ეს გარემოება აძლევდა მას შეძლებას უდრტვინველად ეტანა თავისი ნივთიერი ხელმოკლეობა და გაჭირვებული ცხოვრება. ყოველგან, საცა გნებავთ, სოფლის მასწავლებელი ერთობ მცირე ჯამაგირს იღებს, არსად ისინი უზრუნველყოფილი არ არიან. მათ დიდს ამაგს და დანიშნულებას ასე აფასებს საზოგადოება და მთავრობა. მაგრამ ამის გვერდით სოფლის მასწავლებელი დიდი სიყვარულით და პატივცემით იხსენიება სწორედ ხალხისაგან, იმ ხალხისაგან, რომლის შუაგულში იგი სდგას და ინტიმურად ესაიდუმლება მის გრძნობებს და ტკივილებს. ასეთი წარმოდგენა სოფლის მასწავლებლის ბუნებაზე, მის ბუნებრივ სულისკვეთებაზე ც სულიერ შინაარსზე თითქმის სავსებით გერღვევათ, როდესაც ითვალისწინებთ იმ ყრილობას, რომელიც ამ რამოდენიმე დღის წინად დამთავრდა და რომელსაც დაესწრო თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელნი. მაშინ როდესაც რუსეთშიც კი, სადაც სწავლა-აღზრდა ისედაც ეროვნულია, სოფლის მასწავლებელნი ყოველს ყრილობაზე ხაზს უსვამდენ ეროვნული აღზრდის განმტკიცებას და საჭიროებას, ჩვენში, სადაც სკოლაც და მთელი ჩვენი ცხოვრებაც ეროვნული კალაპოტიდან ამოგდებულია და სადაც ამაზედ ლაპარაკი და თათბირი უფრო საჭირო და სავალდებულო უნდა ყოფილიყო, სოფლის მასწავლებელთ ამაზე სერიოზულად არც უფიქრნიათ. ხალხში მდგომ ქართველ სოფლის მასწავლებელს ამის შესახებ გოდება მეტის ალტყინებით გულიდან უნდა ამოხდოდა. იმ ყრილობაზე, რომელსაც 225-ამდე ქართველი მასწავლებელი დაესწრო, ამ გრძნობას ძლიერად უნდა ამოეხეთქა. ეროვნული ჰანგი, ეროვნული ტკივილი და სოფლის მასწავლებელი განუყრელი რამეა და თუ ეს უკანასკნელი საგანგებოდ მასწავლებელთა ყრილობაზედ ხმას რასმე ამოიღებდა, ყოვლის უწინარეს ეს ჰანგი უნდა აჟღერებულიყო, ყოვლის უწინარეს ამ ტკივილს უნდა აეკვნესებია მისი არსება. ჩვენში ასე არ მოხდა. ჩვენი სოფლის მასწავლებელთ ამ მხრივ ეროვნულ ტანჯვას და ნამდვილ ეროვნულ იდეალს დაშორებული აღმოჩნდა. ჯერ კიდევ მუშაობს ინტელიგენტ თუ მოინტელიგენტე ქართველში ის შხამი, რომელიც მასში ჩააწვეთეს და რომელმაც ეროვნულ იდეალზე და ინსტიქტზე „შეგნებულთ“ გული აუცრუეს. გამოფხიზლების დაწყებული პროცესი თავის ლოღიკურ დასკვნამდე მისული არ არის. როდესაც ეს მოხდება, მაშინ სხვანაირ ყრილობას გადაიხდის სოფლის მასწავლებელიც და ეროვნულად ღრმად შეგნებული ქართველი საზოგადოებაც.

## ჭიათურის შავიქვა და ჩვენი დანაშაული

რომ ღმერთი გაგვწყრომოდა და როგორმე დაგვეწერა ფედერალისტების „მიწის სოციალიზაცია“ არის მოუნელებელი აბი და ქვეყანას მისი გადაყლაპვა უნდა ავაშოროთო,-დიდი განგაში და ვაი-უბედურება ატყდებოდა. „სახალხო ფურცელი“, „ჩვენი მეგობარი“, „ზვირთი“ მრავალ ბოჭკა მელანს დააშრობდენ და თავიანთ მკითხველებს მანამ არ მოეშვებოდენ, ვიდრე ისტერიკას არ შეამთხვევდენ და იმ სამშობლოს მოღალატეთა გასათრევად არ აამხედრებდენ, რომელთაც „საქართველოში“ ბუდე ჩაუდგამთ.

რომ ღმერთი გაგვწყრომოდა და დაგვეწერა, არ იქნა ბოლო არ მოეღო დასელთა არევ-დარევას და აზრის დაბნეულობას ეროვნული საკითხის გადაწყვეტაშიო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, პოლემიკის საშინელი სული დატრიალდებოდა და ქვეყანას ყურს გამოუჭედავდენ ჩვენი შენიშვნის „ბურჟუაზიულს“ და „თავად-აზნაურულ“ უაზრობაზედ! საგანი „ყბად ასაღები“ მხოლოდ მაშინ გახდება, როდესაც იგი რომელიმე პარტიას შეეხება. მთელ საქართველოს შესძრავს და შეაძრწოლებს ყოველი პარტიული გაზეთი, რომლის ტირაჟი ექვსი ათას ცალს ვერ გასცილებია! იმდენად პატარაა მთელი საქართველო და იმდენად დიდია ქართული პარტია!!

პარტიული განზრახვის შენიშვნა ის კატალიზატორი გახლავთ; რომელსაც მთელი ჩვენი ქვეყნის აფორიაქება და გადაყირავება შეუძლიან.

ეს წმინდა ქართველი საზოგადოების სატკივარის საიდუმლოა. სამაგიეროდ თქვენ შეგიძლიანთ რამდენიც გნებავთ იმდენი იყვიროთ და სწეროთ დიდი ეროვნულ-ეკონომიური მნიშვნელობის საკითხებზე და ვერავინ ვერ დააინტერესოთ, ვერავინ ვერ დასძრათ სამოქმედოთ; კრიჭას ვერავის გაუხსნით. ჭიათურას იმდენი ფასი არ აქვს არც ჩვენი საზოგადოებისათვის, არც ჩვენი პრესისათვის, რამდენიც იმას რომ, „თანამედროვე აზრის“ მეპრესემ თითქმის ყოველდღე ბ-ნი ჯაჯანაშვილი „ტყუილში იჭიროს“ ან რომ თვით ბ-ნმა ჯაჯანაშვილმა „თანამედროვე აზრს“ „სირეგვენე“ და „სიბეცე“ თითქმის ყოველ დღე უკიჟინოს! ქართული ცხოვრებისთვის ეს გასართობი უფრო სასეირო ყოფილა და უფრო სასარგებლო, ვიდრე ჭიათურა, რომელიც მარტო საფუთო გადასახადიდან დასავლეთ საქართველოს ორს დაწესებულებას, ქ. ფოთის თვითმართველობას და შავი ქვის საბჭოს, ერთ ნახევარ მილიონ მანეთზე მეტს აძლევს ყოველ წლიურად.

არავინ არ დაინტერესდა, არც საზოგადოება არც პრესა იმით, თუ რა მოელოდა ჭიათურის იმ მადნიან ადგილებს, რომელიც უჭირავს ორს დიდს გერმანულ საზოგადოებას, **ჰულზენ კირხენის** საზოგადოებას და **კავკასიის სამადნო ამხანაგობას.** ამ უკანასკნელ წლებში ამ ორმა საზოგადოებამ მთელი ჭიათურის წარმოების მესამედი ხელში ჩაიგდო და 1913 წელში ჭიათურიდან საერთოდ გაზიდულ 70 მილიონ ფუთიდან, 25 მილიონი მარტო ამათ გაიტანეს.

ყველასაგან ცნობილია ოთხი თებერვლის კანონი და გერმანელების მამულების ლიკვიდაციის საკითხი. მთელი რუსული პრესა დღემდე ამ საკითხს მწვავედ თავს დასტრიალებს. როგორ მოხდა, რომ ჩვენში არავის მოაგონდა არც **„ჰელზენ-კირხენი“** და არც **„კავკასიის სამადნო ამხანაგობა“**, რომ არავის გაახსენდა ჩვენი უთაობით მცონარობით და უვიცობით დაღუპული ჭიათურა, ეს დიდი ეროვნული განძი?! როგორ მოხდა, რომ არავის დაებადა განზრახვა ჩასჭიდებოდა ოთხ თებერვლის კანონს და ცდილიყო რომ ამ ორი საზოგადოების დიდი მამული ქართველობისთვის შეემატა?! ქართველ საზოგადოებას რამოდენიმეჯერ გავახსენეთ ეს საქმე. პირველად პეტროგრადიდან საკუთარი კორესპონდენტისაგან მიღებულ დეპეშით, შემდეგ საგაზეთო წერილებით. ყველამ პირში წყალი ჩაიგუბა. ყველა ყველაა, მაგრამ ჭიათურის შავი ქვის საბჭოს სიჩუმე უაღრესად განსაცვიფრებელია, ყოვლად გაუგებარი, და ქართველი საზოგადოებისათვის პირდაპირ შეურაცხმყოფელი. 24 აპრილის ნომერში ჩვენ ვსთხოვდით ხსენებულ საბჭოს ეცნობებია ქართველ საზოგადოებისათვის, იჭერდა რაიმე თადარიგს თუ არა ამ საკითხში, თუ სრულიად უპატრონოთ ვიყავით და არავინ ზრუნავდა უდარდელად დაკარგულის როგორმე უკან დასაბრუნებლად. ჩვენ მოვითხოვდით შავი ქვის საბჭოს ეს საკითხი გამოეტანა საზოგადოებაში, თაოსნობა გამოეჩინა, მოეთხოვა შველა და დახმარება და აქტიური მუშაობა გაეწია ყველა ეროვნული ცოცხალი ძალის თანაშეწევნით. დამეთანხმებით, ეს შეადგენდა შავი ქვის საბჭოს პირდაპირს მოვალეობას. მაგრამ საბჭომ ჩვენი გულწრფელი შენიშვნა და მუდარა უყურადღებოთ დასტოვა. პრესამაც ხმა არ ამოიღო. დრო კი არ იცდის და ჭიათურის ამ მამულების ლიკვიდაციის საქმე თავის გზით მიდის. ყველაფერი შეიძლება ერთს თვეში დამთავრდეს. სამინისტროდან მეფის ნაცვალს დავალება მოუვიდა შეადგინოს საგანგებო კომისია, რომელმაც სამი კვირის განმავლობაში უნდა აწეროს და შეაფასოს „ჰელზენ-კირხენისა“ და კავკასიის სამადნო ამხანაგობის მთელი ქონება და ეს აწერილობა და შეფასება პეტროგრადს გაგზავნოს თავისი საკუთარი აზრის დართვით. მეფის ნაცვალმა „პრავიტელსტვენი ვესტნიკში“ უნდა შესაფერი განცხადება მოათავსოს ამ მამულის გაყიდვის თაობაზე. მსურველს მამულის შეძენა შეეძლება დღიდან გამოცხადებისა ორი კვირის განმავლობაში.

მრავალი მილიონად ღირებული და დაფასებული მამულის შეძენა წინასწარ მოუმზადებლად თვით მილიონერებისათვის არ არის ადვილი გასაბედავი. ამიტომაც თადარიგი ამ თავითვე დაჭერილია იმ წრეებში, რომელნიც დაინტერესებულნი არიან რომ ჭიათურის ულევი სიმდიდრე ხელში ჩაიგდონ. ყველაფერი სიჩუმეში მზადდება. უკვე ორი კამპანია შესდგა „ჰელზენ-კირხენ“—„კავკასიის სამადნო ამხანაგობის“ მამულების შესაძენად. ერთს შეადგენს ლვოვ-გრუბეტერ-დავითიანცი და $C^0$, ხოლო მეორეს ოჰანეზოვ-ლიანოზოვი და $C^0$. პირველი კომპანიის ზურგს უკან სდგას, თუ ჩვენი ცნობა სწორია, ციმბირის ბანკი, ხოლო მეორისა—აზოვ-დონის ბანკი.

შეიძლება ითქვას ხსენებული მამულები ფაქტიურად თითქმის უკვე გაყიდულიც არისო. ოფიციალი განცხადება „მთავრობის უწყებებში“ მხოლოდ ფორმალური დასტურყოფა იქნება, რაც უკვე დამზადებულია იმისა. სხვა დროს თუ ფიქრიც არ შეიძლებოდა ამ მამულების უკან დაბრუნებაზე, ამ მსოფლიო ომმა ეს შესაძლებლად გახადა. და ამ შესაძლებელის განხორციელება ჩვენს პირად გარჯასა და უნარზედ იყო დამოკიდებული. ხოლო ჩვენის უკეთურობისა და უმოქმედობის წყალობით ეს იშვიათი შემთხვევა ხელიდან მიგვიდის, ამ ძვირფასს მამულებს სხვები დაეპატრონებიან, ხოლო ამ შემთხვევაში იქნებ სამუდამოდ, ან მეორე მსოფლიო კატაკლიზმამდე!!

ხოლო შავი ქვის საბჭოს რომ თავი გამოედო (იქნება გამოიდო და ჩვენ არ ვიცით, გვაუწყონ მაინც) და მყიდველთა შორის გამოსულიყო, მას შედარებით კერძო პირებთან და საზოგადოებებთან დიდი უპირატესობა მიენიჭებოდა. მთელი ჭიათურის წარმოების ეგრე ვსთქვათ გამგე ორგანო ის არის. ეს გარემოება კი საბჭოს მისცემს ერთგვარ უფლებრივ უპირატესობას ჭიათურის გერმანელების მამულის შეძენაზე, გადამთიელთან შედარებით. მერე, სახელმწიფო კეთილსაიმედოვნების მხრივ, ერთია, როცა შავი ქვის საბჭო იქნება ამ მამულების პატრონი, და სულ სხვაა, როცა მათ კერძო სააქციონერო საზოგადოება დაეპატრონება. რა გარანტია აქვს მთავრობას, რომ აქციების მეტი წილი თუ სულ არა, ბოლოს და ბოლოს ან ისევ გერმანეთს არ ჩაუვარდება ხელში, ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს, რომელიც ერთ დღეს შეიძლება გარემოებამ რუსეთს შეაბრძოლოს?! ამ მხრივ უშიშარ გარანტიას მხოლოდ შავი ქვის საბჭო მოგვცემს. ხოლო თუ სხვა კერძო საზოგადოებები ბანკების ნდობას გაიჩენდენ ამ ადგილების შესაძენად, ნუ თუ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, რომელსაც საფუთო გადასახადიდან წლიური შემოსავალი აქვს ერთ მილიონი ოთხასი ათასა მანეთი (უკანასკნელ წელს გაზიდული შავი ქვის რაოდენობა თუ ვიანგარიშეთ) და რომლის ეს შემოსავალი ომის შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება, რადგანაც სამეტალურგიო წარმოება უთუოდ იმატებს,—ნუ თუ ამ შემოსავლის პატრონ შავი ქვის საბჭოს არ შეეძლო ნდობა და ფული მოეპოვა?! რომელი ბანკი დაერიდება ამგვარ კომბინაციებს ასეთ სერიოზულ დაწესებულებასთან. მაგრამ რა ვქნათ თუ იმის შნოც არა გვაქვს რომ ჩვენი კაკალი ავაჩხრიალოთ იქ, სადაც სხვები ბამბასაც კი აჩხრიალებენ?

ფუჭია ყოველგვარი ობიექტიური პირობები, რაგინდ ხელსაყრელიც იყვნენ ისინი, თუ ინიციატივა და თაოსნობა აღარ არის. და აი გვინდა გავიგოთ, ეს ინიციატივა და თაოსნობა ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში შავი ქვის საბჭომ გამოიჩინა თუ არა?

გვინდა ვიცოდეთ მან გამოიჩინა თუ არა სიცოცხლისა და ბრძოლის უნარი, ქვეყნის ინტერესი ფხიზლად დაიცვა თუ არა თავის შეძლების ფარგალში, დაგვამშვენა თუ არა ჩვენცა და

თავისი თავიც! ამის მოთხოვნის სრული უფლება გვაქვს. ეს საქმე დიდ საქვეყნო საქმედ მიგვაჩნია და ნუ ინებებს შავი ქვის საბჭო კვლავინდებურ სიჩუმეს და უყურადღებობას ჩვენს გულწრფელ შეკითხვაზე და დიდ საქვეყნო საქმეზედ. ნურც ქართველი საზოგადოება ჩაიგუბებს პირში წყალს, და ნურც ქართული პრესა გაუჩუმდება ამ გარემოებას. ღირსება შევიმატოთ, კინკლაობაზე ავმაღლდეთ და ყოველი საგანი მისი ნამდვილის ზომით დავინახოთ.

ს. კედია.

## აღმოსავლეთისაკენ!..

ქართული ეროვნული ცხოვრება აშკარად გამოფხიზლებულა და განახლების გზას დასდგომია. მსოფლიო ომმა მიძინებულ საქართველოზე მუჯლუგუნივით იმოქმედა. შეინძრა და აზმაურდა ქართველი ხალხი და არა-ჩვეულებრივის უნარით ხელი მიჰყო თავის რეალ ცხოვრების მოგვარებას პრაქტიკულ საქმიანობის გაღვივებით.

ქართულ კოოპერატიულ ორგანიზაციების თვალსაჩინო ზრდა, აქციონერთა საზოგადოების დაარსება, გამრავლება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებისა და სხვა და სხვა კავშირებისა, ქართულ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის მოწყობა, რომლის აქციები ქართველების მიერ შეძენილმა ორ მილიონამდის მიაღწია,—მაჩვენებელია იმისა, რომ ქართულ ცხოვრების სიღრმეში საკმაო გამოუმჟღავნებელი ძალა ინახება და გაჭირვების დროს მშობლიურ ინტერესებს იგი ერთგულ დარაჯათ უდგია.

თუ შეურყევლად მიგვაჩნია ის დებულება, რომ ერის ეკონომიურ ზრდაგანვითარებას პოლიტიკური სიძლიერეც მოსდევს, აშკარაა ეს ახალი გზა,—გზა პრაქტიციზმის გამეფებისა, რომელსაც თანამედროვე ქართველობა ასე ბეჯითად დაადგა—ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მერმისის სათავედაც საბუთად ჩაითვლება. საჭიროა მხოლოდ ამ სალ მიმართულებას მწყობრი, გარკვეული გეგმა მიეცეს, რომ ამ დიდ მუშაობიდან ისეთი ელემენტი არ გაირიყოს, ურომლისოდაც ყოველი მოქმედება ფუჭად ჩაივლის.

დღეს უმეტესი წილი მომქმედ და შეძლე ქართველობისა ბანკოვიადის აჟიოტაჟს განიცდის. სააქციონერო საზოგადოება—ბანკების მოწყობისათვის არ ზოგავს არც ენერგიას, არც უკანასკნელ გროშსა. ყოველ შემთხვევაში ეს ფაქტი სანუგეშო გრძნობებს იწვევს ჩვენში და მართლაც მეტად საგულისხმო მაჩვენებელია ქართველ საზოგადოების საქმიანობის წყურვილისა. მაგრამ არც იმას უნდა ავარიდოთ თვალი, რომ ასეთი ცალმხრივი გატაცება, ჩვენი ძალა-ქონების მარტო სააქციონერო ბანკებზედ დაბანდება და ამავე დროს მიჩრდილვა მაგალითად, ქართულ მიწა-წყლის საქმის მოვლისა, წინდაუხედავ მოქმედებად ჩაგვეთვლება. უფლებრივ პირობებში და ნორმალურ ხანაში ეროვნულ ინტერესების კალაპოტში ჩაყენებული შესაფერისი საკრედიტო ფინანსიური სისტემა აგრარულ საკითხის მოგვარების საქმეში მართლაც მოდარაჯე ბურჯობას გასწევს. ამის მაგალითს იძლევა მაგალითად ცნობილი პოზნანის ბანკები პოლონეთის მიწადმფლობელობის პოზიციების დაცვაში პრუსიის მთავრობის მძლავრ იერიშებისაგან. მაგრამ რუსეთის ცხოვრების პირობებში ამ მხრივ სავაჭრო ბანკებზედ დიდი იმედების დამყარება ფუჭ ოცნებად უნდა ჩაითვალოს. მხედველობაში მისაღებია რასაკვირველია, ისიც, რომ ასეთი ბანკები ფაქტიურად ჯერ არ დაგვიარსებია და მათი გამოყენებაც შორეულ მერმისის საქმეა.

ქართულ მიწა-წყლის უცხოლების ხელში გადასვლა დღეს როდი დაწყებულა. მას კაი გრძელი წარსული აქვს და ამის შესახებ მეტად ბევრიცა თქმულა და დაწერილა, მაგრამ საქმით კი ყველაზე ნაკლები გაკეთებულა. და ჩვენც სამართლიანად ვშიშობთ, რომ დღესაც, როცა გამოფხიზლებული ქართველობა თავის მოძრავ ქონებას თავს უყრის და მილიონებად ქცეულს სავაჭრო კრედიტის მოწყობაში აბანდებს, ვაი თუ მიწის შეძენის საქმე ძველებურადვე ერთს წერტილზე გაყინული დარჩეს. ასეთი საქციელი დღეს აღმოსავლეთ საქართველოს დაკარგვის ფასად დაგვიჯდება და მაშინ... ხომ აღარც სავაჭრო ბანკები დაგვჭირდება!

ქართველების მდგომარეობა იმითაა გართულებული, რომ ბრძოლის წარმოება მას რამდენიმე ფრონტზედ უხდება და არც საკვირველია, რომ ეკონომიურ ციხე-სიმაგრის გაშენებასთან აუცილებელია ქართულ მიწადმფლობელობის მიჯნების გასწორება-გამაგრებაც. საიდუმლოს აღარ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიალურ მთლიანობას შეურიგებელი მოწინააღმდეგეები გასჩენია. მაღალ ოფიციალ წრეებიდან დაწყებული სხვა და სხვა პროექტები ითხზება, ომის შემდეგ, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან უცხოელების ჩასახლებისა. ამასთანავე ამ ომის ზარბაზანთა საშინელ გრიალ-ქუხილის ქვეშ, მხიბლავ და ტურფა საქართველოს, მეტადრე ყველაზე სუსტ მხარეს—მის აღმოსავლეთ ნაწილს, ომის გამო, შემოსეული უცხოელები ბუზებივით დაესივნენ და სადაც კი ხელი მისწვდათ და მამულის თავისუფალ კუნჭულს წააწყდნენ, ხარბად ყიდულობენ.

ერთი ასეთი მყიდველთაგანი რუსი მოხელე გვიამბობდა: ჯერ ერთი რუსეთში მიწა არ მაბადია და მეორეც ჩემისთანა ხელმოკლე მყიდველისათვის იქ მიწა ნამეტანი ძვირია, აქ კი, თქვენს მხარეში იგი ნაკლებ ფასობს და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქაღალდის ფული იაფია და მომავალში იგი აუცილებლივ უფრო გაიაფდება, მე უსათუოდ მოგებაში დავრჩებიო.

რასაკვირველია მოგებაში დარჩება ყველა, ვინც მეტ პრაქტიკულ სიბრძნეს გამოიჩენს და ასეთ რყევის დროს ცხოვრების უმთავრეს საგანთა სწორ აწონ-დაწონვაში და დაფასებაში არ შესცდება.

---

შესაფერისი დაფასება ჩვენი დღევანდელი ეკონომიურ - პოლიტიკურ მდგომარეობისა, უპირველეს ყოვლისა გვავალებს ქართულ მიწისმფლობელობის სათანადო მოვლასა. ცხადია, რომ ცენტრი ქართულ ტერიტორიალურ კრიზისის სიმძიმისა—აღმოსავლეთი საქართველოა.

აღმოსავლეთი საქართველო—ეს ღია კარია საქართველოსი, საიდანაც ტალღა ტალღაზედ მომდინარეობდა და ეხლაც მომდინარეობს ყველა უცხო ტომთა ურდოებისა და გამუდმებით სახლდება მის მდიდარ ველ-მინდვრებზედ. აღმოსავლეთი საქართველო წარსულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მთავარ პოლიტიკურ როლს ასრულებდა. ვისაც საქართველოს ქედის მოხრა ან მასზედ გაბატონება ჰსურდა თბილისისაკენ მოეშურებოდა. ტაო-კლარჯეთისა, ჭანეთის მნიშვნელოვან შავ ზღვის სანაპიროებით ოსმალთა ხელში გადასვლამ, თუმცა ძლიერ დაასუსტა საქართველო, მაგრამ ვერ მოსპო იგი. ოსმალთა ფაქტიურმა ბატონობამ დასავლეთ საქართველოში მაინც ვერ სძლია საქართველოს დამოუკიდებლობას. ღონე მიხდილი საქართველო მაინც სუნთქავდა და ამ სუნთქვას სულს უდგამდა მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველო. და „ბედი ქართლისაც“ მე-18 საუკუნის მიწურულებში მხოლოდ აღმოსავლეთმა გადასწყვიტა. 1783 წლის ხელშეკრულობა რუსეთთან ქ. გორში დაიწერა, უკანასკნელი აქტი საქართველოს დამოკიდებულობისა 1795 წლის შურის მაძიებელ აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისის განადგურებით დაიწყო და ამის გამო რუსეთის ჯარის იმავ თბილისში შემოსვლით და სამუდამოდ დაბანაკებით დამთავრდა. ქართველ ერის პოლიტიკურ თავისუფლებას, ახალმა მებატონემ—რუსეთმა, ანდერძი თბილისში აუგო და მერე მის ნატამალს—იმერეთის, გურიის, სამეგრელოს და აფხაზეთის დამოუკიდებლობას ადვილად მოუარა და ერთის შებერვით გააქრო.

მე-XIX საუკუნის განმავლობაში უფლება აყრილმა საქართველომ ხომ უფრო მძლავრად იგრძნო თავის აღმოსავლეთ ნაწილის გავლენა. აღმოხეთქილ ეროვნულ მოძრაობის სათავეში აღმოსავლეთი საქართველო მოექცა.

ქ. თბილისში არსდება პირველი ქართული თეატრი, პირველი ქართული გაზეთი, წ.-კ. საზოგადოება, პირველი ბანკი, ქართული სასწავლებელი და სხვა დაწესებულებანი:

აქედანვე გაისმის მამულიშვილური ძლიერი ჰანგები დიდებულ ქართველ მგოსნებისა.

აქედანვე საქართველოს ეფინება პირველ ქართულ პოლიტიკურ პარტიების დეკლარაციები.

აქვე დუღს და მწიფდება სანუკვარი იდეა ქართველთა ტომთა გაერთიანებისა.

რუსეთის მთავრობის მიერ ქ. თბილისის მმართველობის დედა გულად აღიარებამაც აშკარად ჰყო აღმოსავლეთ საქართველოს პირველობა. ამ რიგად აღმოსავლეთში იკვრება მაგარი კვანძი მომავალ ეკონომიურ ცენტრისა. რკინის გზები, გზატკეცილები უეცრივ ერთჰმევიან თბილისსა, მოდიან რუსეთიდან, შავ და კასპის ზღვების სანაპიროებიდან და იშლებიან სამხრეთით—სპარსეთ, ოსმალეთისაკენ. თბილისი ეკონომიურ სალაროდ ხდება, რომელიც კავკასიის და კერძოდ საქართველოს მთელ დოვლათს მუდმივ ეზიდება, აწესებს ფასებს და ვეებერთელა საწყობ-აუზებში მოგროვილს, დანაწილების შემდეგ, საგარეო ბაზრებისაკენა გზავნის. ქ. თბილისის არეც—აღმოსავლეთი საქართველო, ჩათრეული ამ მოძრაობის მორევში ქ. თბილისს ზურგში უდგება. დღეს ხომ ასეთი მისი პირველობა მეტოქეობის გარეშე სდგას. ამ რიგად ჩვენი აღმოსავლეთი მხარის დიადი მნიშვნელობა წლითი წლობით იზრდება და მძლავრდება. და ის ერი, რომელიც დამკვიდრდება ამ დედაგულში უზრუნველყოფილი ბატონი იქნება თავის ეროვნულ ცხოვრებისა და გავლენიანი მოთავე კავკასიაში სხვა მოსახლე ერთა შორისაც. საქართველოს დიდებაც აღმოსავლეთში მარხია. ვინც ქართველ ერის ამ მომავალ დიდებას ემტერება—იგი სცდილობს მის სამარის აღმოსავლეთში ამოთხრას. და რომ ეს ასეა, გაიხსენეთ საიდან აწვებიან საქართველოს უცხოელები. სომეხთა ტალღები სწორედ მის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს მოაწვნენ, დაიპყრეს ქ. თბილისი, გაამაგრეს თბილისის სომხურ თვითმართველობის ციტადელის გაშენებით და მალე აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ქალაქს მოედვნენ და ეხლა პროვინციებსაც ხელი დაადვეს და არა სავაჭრო დუქნების, არამედ სრულ უფლებიან მიწისმფლობელთა სახით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არც ადგილობრივი მთავრობა ერიდებოდა „თავის ინტერესების“ დაცვას და უმიწაწყლო ქართველ გლეხკაცების ხარჯზედ რუსეთის გლეხებს ჩრდილოეთიდან მოერეკებოდა აღმოსავლეთ საქართველოსაკენ ⁊ ასახლებდა ქართლ-კახეთში, ნათლად მტკიცდება ის ჩვენი აზრი, რომ საქართველოს საფრთხე სწორედ მის აღმოსავლეთში დაგროვილა.

ეს პროცესი თუმცა ამ ჟამად გარეგნულად მიყუჩებულა, მაგრამ მაინც ძველ გზითვე მიმდინარეობს. ომის დამთავრების შემდეგ კი, ასეთი დაშლა და რღვევა ჩვენი მიწისმფლობელობისა, შესაძლოა საქართველოსათვის დიდ კატასტროფად გადაიქცეს, თუ ქართლ-კახეთ-ბორჩალოში დაუყოვნებლივ არ შევუდგებით ქართულ მოსახლეობის გაფართოვებას.

არა ერთხელ გვითქვამს და მით უფრო დღეს მოვალედ ვთვლით ჩვენს თავს დაჟინებით გავიმეოროთ და მივუთითოთ იმ ერთად ერთ გზასა, საიდანაც შველაა მოსალოდნელი და მშობლიურ მამულ-დედულის რღვევა-ნგრევის პროცესი შესაძლოა შემსუბუქდეს და ბოლოს შეჩერდეს კიდეც.

ეს გახლავთ გადმოსახლების მოწყობა დასავლეთ საქართველოდან-აღმოსავლეთ საქართველოში.

დასავლეთ ქართველობის ლოზუნგად დღეს უნდა იქცეს: აღმოსავლეთისაკენ!

იმერელი, რაჭველი, ლეჩხუმელი, გურული, მეგრელი, სვანი, აზხაზი, სამურზაყანოელი დიდ ტალღად ქცეული უნდა მოაწვეს ქართლ-კახეთ, ბორჩალოს მდიდარ მთა-ველ მინდვრებს და ჩასახლდეს მის თავისუფალ მამულებში. ყველამ იცის რომ დასავლეთ საქართველოში დიდი ვიწროობაა მიწისა: ამის გამო ხეირიანად ვეღარც ხნავენ, ვეღარც სთესვენ, ვეღარც უვლიან მამულსა. დასავლეთ საქართველოს გლეხკაცობას მიწების თაობაზე ერთმანეთთან დავაში სული სძვრება. მამა მხედრდება შვილზედ, შვილი ემუქრება მამას. უმამულო რაჭველი, გურული თუ მეგრელი ცხრა მთას იქით იხიზნება და სამშობლოს ბევრს შემთხვევაში სამუდამოდ ეცლება. ნალჩიკში გადახვეწილი რაჭველობა განა სამშობლოსათვის დაკარგულთა სიაში არ უნდა მოვათავსოთ?

ნუ თუ ნალჩიკში გადასახლებულნი, თბილისის მიდამოებში ან მის მახლობლად, ბორჩალოს ნოყიერ მინდვრებზედ ვერ იგრძნობდნენ თავს რიგიანად? ან იქნებ ცუდათ გრძნობს თავს ალაზნის გაღმა კაბალოში ჩასახლებული და მდიდრულად მოწყობილი იმერლობა? არა, უბედურობა მარტო იმაშია, რომ ამ დიდსა და არსებითს საკითხს ქართველი საზოგადოება ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევდა და დღეს როდესაც ქ. თბილისი სომეხ საქმიან კომისიონერებით სავსეა და ყოველ კროს მამულს აჩეჩებენ, ჩვენ შორიდან ვუცქერით, თავს ვიქნევთ და მერმე რედაქციებში მივრბივართ და მწყრალ წერილებს ვაბეჭდინებთ. თბილისის მიდამოები, მაგალითად, სავსეა თავისუფალ და გასასყიდ მამულებით. ბევრ შემთხვევაში იგი ქართველობას ეკუთვნის. 100 საჟენის სყიდვა რომელ საშუალო ქონების პატრონ ქართველს არ შეუძლიან? სთადგილმამულო და სხვა ბანკების დახმარებით ნუ თუ ერთ სართულიან სახლის აშენებას იგი ვერ შესძლებს? შესძლებს, ათასჯერ შესძლებს!.. მაგრამ ამ შეძლებას წინ უნდა უძღოდეს დაჟინებული წყურვილი და საქმის უნარი. ნუ თუ დღესაც დრო არ არი ერთიც და მეორეც გამოვიჩინოთ? ამაზე სახეირო ხანა კვლავ როდის დაუდგება ქართველ მამულის მყიდველებს: ფული დღითი-დღე იაფდება, მამული კი ძვირდება. ასეთ შემთხვევაში რომელი მყიდველი, გინდ ვერანა მამულისა დარჩება წაგებაში! ან და ნუ თუ არ უნდა გვაფიქრიანებდეს ჩვენი ქვეყნის მომავალი? ამ ნაკუწ-ნაკუწ ნაყიდ პატარა მამულებიდან ხომ ის დიდი მამული სდგება, რომელსაც საქართველო ეწოდება; ეს „მამული“ ხომ ერთად-ერთი პატრონია ქართველ ხალხისა და მის ბედნიერ მომავლისა. ხომ დავრწმუნდით ამ ორი წლის განმავლობაში რომ ქართველი ერის მხსნელი მარტოდ მარტო ძლიერი საქართველოა... სხვა მხსნელი-მომვლელი მას არცა ჰყოლია, არც ეყოლება. მაშ რაშია საქმე?

დარბეულ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქ-სოფლებში მამულების შეძენის მოწყობა—აი ჩვენი მთავარი საქმე. ამისათვის არ უნდა დავზოგოთ უკანასკნელი გროში, უკანასკნელი ღონე, უკანასკნელი ხერხი. უნდა ყველას და ყველგან გვახსოვდეს:

აღმოსავლეთის დაკარგვა საქართველოს დასამარებაა.

მის შველის დაყოვნება—სიკვდილის ლანდია.

დასავლეთიდან—აღმოსავლეთისაკენ!

აი გზა ჩვენის ხსნისა...

დასავლეთში უმიწაწყლო ხალხის კონტინგენტი, ომის ზარალის მიუხედავადაც, ჯერ დაუშრეტელია. ფულიც დღეს საკმაო არის, ახალი გზა ფართეა და მომავლიანი—

აღმოსავლეთისაკენ!

დ. კახელი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

მთელ კვირაზე მეტია ზოგადად რუსთა წინსვლა შეჩერებულია: უკანასკნელი ბიულეტენებიც უმთავრესად ტყვეების ძველ რიცხვის თვლაში არიან. სხვაფრივ ბრძოლის ხაზს თუ ანგარიშს უწევენ, ვხედავთ, რომ აქტივობა ახლა გერმანელთ ეკუთვნით და მძიმე თუ სუბუქი არტილერიის სროლით იერიშებს აწარმოებენ. მართალია, იერიშებს ინტენსიური ხასიათი არა აქვსთ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, ყველა ეს ფართო ლაშქრობის საცდელი ხელის ფათურია სუსტი მხარის აღმოსაჩენად, რომ სწორედ აქედან დაიწყონ მთავარი ლაშქრობა.

კავკასიის ფრონტზე დიდი ხანია სიჩუმე ჰსუფევს მოხსენების მხრივ. რუსეთის სატახტო გაზეთები მთავარ შტაბის მოხსენებაზე გაცილებით მეტს გვეუბნებიან. „ნოვ. ვრემია“, მაგალითად, გულახდილად ამბობს, რომ ისეთს სტრატეგიულს პუნქტებს, როგორიც არის მამახათუნი, ბითლისი, მოსული, თვით ტრაპიზონი და აზრუმიც კი მნიშვნელოვანი არ არისო. რა უნდა სთქვას ამით „ნოვ. ვრემიას“ სამხედრო მიმომხილველმა, არ ვიცით, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ამ პუნქტთა აღებით ყველა ერთგულად ვდღესასწაულობდით ერთ დროს. საქმის ვითარება ასეთია: ცენტრში, ერზინჯანის მიმართულებით, მამახათუნის დაცემის შემდეგ მდგომარეობა გამოურკვეველია, თუმცა ვიცით, რომ დიდი ბრძოლა ხდება და არც შეწყვეტილა, განსაკუთრებით აშკალას რაიონში. საიდან, როგორ ვითარდება აქ ბრძოლა, რომელ პუნქტში, არ ვიცით. ასევე იერიშებით მოდიან ტრაპიზონის მხრით, ეფრატის ღელეში, სოფელ ნურივის მახლობლად, მოსულის მიმართულებით და ბაღდადის მხრით, რევანდუზას წინ, სადაც ოსმალებმა წინა დღით მნიშვნელოვანი პოზიციები ჩაიგდეს ხელთ, მაგრამ რუსებმა მაინც დაიბრუნეს.

საზოგადოდ კავკასიის ფრონტზე რუსთ აღარ ეკუთვნით ინიციატივა. მიზეზი ალბად ის არის, რომ რუსის მთავარ შტაბს უფრო მეტი საფიქრებელი აქვს, ვიდრე კავკასიის ასპარეზი გახლავთ. ეს არის სწორედ ბრუსილოვის მიერ ახმაურებული ასპარეზი, სადაც, ვინ იცის, რუსეთის ბედი და უბედობა იჭედება...

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 14 თიბათვე. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. რიგის და იკსკიულის სიმაგრეებთან საარტილერიო ბრძოლაა. მტერი შეეცადა სხვა და სხვა ადგილას შეტევას, მაგრამ მოგერებულ იქნენ. დვინსკის ხაზით მტერმა ალაგ ალაგ ძლიერი ცეცხლი გააჩინა და სვენტენის ტბის ჩრდილოეთით შეუტია, მაგრამ უშედეგოდ. ერთ ადგილას უფროსების ცნობით დიდი სიგმირე გამოიჩინეს პრაპორშჩიკმა ნორკინმა და უნტერ-აფიცერმა კონონენკომ. პრაპ. ნორკინმა 15 ჭრილობა მიიღო. მტრის მფრინავები ყუმბარებსა ჰყრიან, მათ შორის დვინსკშიც. გუშინ საღამოთი მიაძოლის ტბის ჩრდილოეთით გერმანელებმა მძიმე და მსუბუქ ზარბაზნებიდან ჩვენ თხრილებს სროლა აუტეხეს ტბებს დოჟა და ვოლჩინოს შუა. ამის შემდეგ იერიში მოიტანეს, მაგრამ მტერი უკუ ვაგდეთ. მათი განმეორებითი ცდა უნაყოფოთ ჩაიარა. სლუცკის გზატკეცილთან 13 თიბ. გერმანელებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ. ვიგანოვის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ლიასკის დასავლეთით მტერმა გადმოლახა მდ. შარა, მაგრამ თანდათანობით მტერი უკუ ვაგდეთ. ჩვენ ძველი ადგილი დავიჭირეთ. კოლკი—ბოგუშევკას ხაზით, მდინარე სტოხოდზე, მტერი ჩვენ ადგილებს მძიმე არტილერიას უშენს. სამხრეთით საარტილერიო და თოფის სროლაა. მესკიჩის მიდამოებში, ლუცკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა არტილერიამ მტრის მფრინავი და მზვერავი ტყვედ წამოიყვანა. შუა სტრიპის ზოგიერთ ადგილებში, მოპირდაპირემ საარტილერიო ბრძოლა გააჩაღა. 12 თიბათვეს, ჩვენმა მფრინავმა ორლოვმა, რომელიც ათჯერ ავიდა 2400 მეტრის სიმაღლეზე, მოპირდაპირის საფრენს პოდგაიცასთან ბრძოლა გაუმართა. ჩერნოვიცის მიმართულებით, მტერი შევავიწროვეთ.

როგორც ბრუსილოვის არმიის ცნობებიდან სჩანს 22 მაისიდან 10 თიბათვემდე წამოუყვანიათ 4.013 გენერალი, აფიცერი და ექიმი. 194.041 მეომარი, დავლად წამოღულია: 219 ზარბაზანი, 644 ტყვიისმფრქვეველი, 169 ყუმბარის მტყორცნელი, 146 ყუთი და 38 პროჟექტორი.

**ბალტიის ზღვა.** 13 თიბათვეს ირბენის სრუტეში, 3 ჩვენი ჰიდრო-საფრენს შეება ოთხ გერმანელს. ჩვენ დავღუპეთ ერთი ჰიდრო-საფრენი, ჩვენები კი უვნებლად დაბრუნდნენ.

**კავკასიის ასპარეზი.** მასლა-დარასის ნაპირებზე, ნურიკასთანთ, ოსმალთა იერიშები მოვიგერიეთ. მოსულის მიმართულებით, ბანეს მიდამოებში, ოსმალები დასავლეთისკენ დავიწიეთ.

---

**ჰავრი,** 13 თიბათვე. ბელგეთის ცნობა. დიქსმიუდეს მიმართულებით, ნიუპორის, დიქსმიუდეს და სტეენსტრეტის უბნებში, საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა.

**პარიზი,** საღამოს ოფიციალი ცნობა. შამპანში, ჩვენმა არტილერიამ გაანადგურა მოპირდაპირის საალყო სიმაგრენი ველ-სიურ-ტურბის. ჩრდილოეთით. ვერდენის ჩრდილო ასპარეზზე ქვეითა ჯარს, სრულებით არ უმოქმედია. მაასის ორთავ ნაპირებზე არტილერიის მოქმედება შესუსტებულია. ვოგეზებში, ლა-მაპელოტის აღმოსავლეთით გერმანელთა სამხედრო სურსათის ორი საწყობი ავაფეთქეთ.

**ლონდონი,** 14 თიბათვე. გენერალი სმეტსი იტყობინება: აღმოსავლეთ აფრიკაში, 11 თიბათვეს, ლიკიგურის მდინარეზე მოპირდაპირე დავამარცხეთ.

**ლონდონი.** ქაირიდან იტყობინებიან: მექის შერიფმა, შეაიარაღა სამი არმია და მათი ხელმძღვანელობა თავის სამს უფროს შვილებს მიანდო. ერთმა ალყა შემოარტყა მედინას, მეორემ აიღო ტაიფი, მესამემ ტაითი. შერიფმა სულ მთლად გაანადგურა ახალგაზდა ოსმალუნიონთა მოღვაწეობის კვალი. მან გადასჭრა ტელეგრაფი და დაანგრია გეჯასის რკინის გზის სადგურები, 150 ვერსის მანძილზე ლიანდაგი მოხსნა. როდესაც ენწერ ბეიმ გეჯასი ინახულა, შერიფმა მას უთხრა: ოსმალეთის გაუნათლებელი ახალგაზდობა. ოსმალეთს დათოპვის გზაზე აყენებსო.

**რომი,** 13 თიბათვე. შტაბის ცნობა. ხანგრძლივ საარტილერიო მზადების შემდეგ, 11 თიბათვეს საღამოთი, ჩვენმა ქვეითა ჯარმა ბალამასიდან სეტე-კომუნამდე წაიწია. მოპირდაპირე საჩქაროდ უკან იხევდა და ვალარსის ადგილებში სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდა. ჩვენ დავიჭირეთ რაოსი და მენერლის მთის სამხრეთ-დასავლეთის გრეხილები, მოპირდაპირემ ფოკოიში ხიდი ააფეთქა. მონტეპრუკეს ხეობაში, ჩვენმა რაზმებმა წინ წაიწიეს, დაიჭირეს ფრიაფორი და ასიეროს მიუახლოვდნენ. სეტე-კომუნზე, ჩვენ ჩავიგდეთ ბუზიბოლის მთის ჩრდილო გრეხილები, ბელმონტე, პანჩოჩიო, ბარკო და ჩენჯო. ჩიმა-დიკალიერის დასავლეთით, ავსტრიელთა თხრილები სავსეა გვამებით.

კარნიაში, იზონცოზე, განსაკუთრებით ზემო ბუტის ნაპირებზე არტილერია მხნედ მოქმედობს. ჩვენი საფრენები უშენდნენ ვოკერის მთის პარკს, კალდონაცოს სამხრეთ-აღმოსავლეთით ობერაუბურგის რკინის გზის სადგურს და დელახის საწყობს. ამავე ადგილებში ცეცხლია გაჩენილი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ოსმალეთის ასპარეზი.**

ზღვის ნაპირებთან, 30 ვერსის მანძილზე ტრაპიზონის სამხრეთ-დასავლეთით, ოსმალები კვლავ ამოქმედდნენ აქ მოქმედობს ჰაჯი-ჰამდი-ბეის ჯარი, რომელიც მე-18 და 10 დივიზიიდან შესდგება. ჰაჯი-ჰამდი-ბეის ჯარს ახალი მაშველი ჯარი მოუვიდა, მე-9 დივიზია, მესამე საველე კორპუსის ნაწილი. ეხლა ამ ადგილებში 35 ათასი ქვეითი ჯარია. ამას უნდა მიემატოს ცხენოსანი ჯარი, რომელიც დიდ რიცხვს არ წარმოადგენს. ტრაპიზონის მიმართულებით ოსმალები სამხრეთითაც ამოქმედდნენ ბაიბურთის და ტრაპიზონის შუა. ამ მიდამოებში იბრძვის მტრის მარცხენა ფრთის რაზმი ბაიბურთის ნაწილისა, რომელსაც ფეიზი-ფაშა სარდლობს. მადურ-ტეპეს მთასთან (ბაიბურთის და ტრაპიზონის შუა გზაზეა) მტრის ერთ რაზმს მიჰქონდა იერიშები, მაგრამ უნაყოფოთ. ყველგან ოსმალთა იერიშები შეჩერებულია. ერზინჯანის მიმართულებით სიწყნარეა; ეს იმით აიხსნება, რომ ტრაპიზონის მიმართულებას ოსმალნი დიდი ყურადღებით ექცევიან. მაშასადამე ამ ადგილებში, როგორც სამხრეთით, აგრეთვე დასავლეთით დიდ ბრძოლას უნდა ველოდეთ.

**მესოპოტამიაში.**

„რუს. სლოვოს“ ქერმანშაჰიდან ატყობინებენ: მესოპოტამიაში ოსმალთა ჯარს ენვერ-ფაშა სარდლობს. ბაღდადის დასაცავად ოსმალებმა დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი, გარდა ამისა მათ აქ გაიყვანეს დიდი არხი, რაზედაც გადასვლა ძნელია. მთელ ასპარეზზე ოსმალთა მაშველი ცხენოსანი ჯარი მოვიდა. ქვეითა ჯარი კი შევსილია გალიპოლის არმიიდან. ცენტრში ზაგროსტუნკიოჩ-გაროს მიმართულებით აუტანელი სიცხეებია. ოსმალები აქ მოპირდაპირეს უტევენ იმ იმედით, რომ რუსებს მთიანი და გრილი ადგილები უკანვე წაართვან.

**მოკავშირენი და საბერძნეთი.**

ათინიდან იტყობინებიან: მოკავშირეთა ძლიერი ესკადრა, რომელიც ხმელთა შუა ზღვაზე იმყოფებოდა და პირეიში მისვლას აპირებდა დემონსტრაციის მოსახდენათ, რათა მოკავშირეთა მოთხოვნილებანი საბერძნეთის მთავრობას უარ არ ეყო, უკან დაბრუნდა, რადგანაც მეფე კონსტანტინემ მოკავშირეთა მოთხოვნილების ასრულება აღუთქვა. ამ გვარად მოკავშირეთა კატეგორიულმა მოთხოვნილებამ გავლენა იქონია. აღსანიშნავია ის, რომ რუსეთს, საფრანგეთს და ინგლისს, იტალიაც მიემხრო და მთავრობის დადგენილების ნოტა მისმა ელჩმა გადასცა კიდეც. იტალია თავის მოკავშირეებთან ერთად არ გამოვიდა საბერძნეთის წინააღმდეგ, რადგანაც იმ ბარათზე, სადაც რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი უზრუნველ ჰყოფენ საბერძნეთის დამოუკიდებლობას, იტალიის ხელი არ უწერია.

**ესად ფაშა.**

„რუსკია ვედომოსტი“-ს ატყობინებენ: ოსმალეთის მთავრობას პარიზში მცხოვრებ ესად-ფაშისთვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია. მამულები და ქონება სულ ერთიანად ჩამოართვეს.

**ბულგარეთი.**

სოფიიდან იტყობინებიან: „ნაროდნი პრავა“-ს ცნობით, ადგილობრივმა მთავრობამ დახურა ხალხოსნურ ჯგუფის გაზეთი „მირ“. გაზეთი დაიხურა ერ-

[illegible]

**ომსმალეთი.**

[illegible]

**მექსიკა და შეერთებული შტატები.** „როიტერ აგ.“ ... ატყობინებენ: ვაშინგტონიდან მოსულის ცნობით, მთავრობამ მექსიკის ჩრდილო ნაწილებში ჯარი გაგზავნა. ამბობენ ამბოხების ცეცხლის ჩაქრობა ძნელია, მიუხედავად იმისა, რომ ორივ მებრძოლ მხარეს ჰსწყურიათ მშვიდობიანობა. როგორც ელპასოდან ლონდონში ატყობინებენ: წარსულ ბრძოლაში, ამერიკელთა მხრით მოკლულია 40 კაცი, მექსიკელთა ზარალი უმნიშვნელოა. მექსიკელთ გენერალი გენხალესი იტყობინება: ხუარეტში 17 ამერიკელი დავატყვევეთო.

# დეპეშები

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები)

**რიგის და იქსკიულის ასპარეზზე არტილერია მოქმედობს.**

—

**ბალტიის ზღვაზე რუსთა 3 ჰიდროპლანი შეება გერმანელების 4 ჰიდრო-საფრენს. დაუღუპეს ერთი და თვითონ უვნებლად დაბრუნდნენ!**

—

**როგორც ბრუსილოვის ცნობებიდან ჩანს, 22 მაისიდან, 10 თიბათვემდე, რუსებს დაუტყვევებიათ 4.013 გენერალი, აფიცერი და ექიმი, 194,041 ჯარისკაცი.**

—

**კავკასიის ასპარეზზე ნურიკასთან რუსებმა ოსმალთა იერიში მოიგერიეს.**

—

**„304“ სიმაღლესთან საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა.**

—

**ხმელთა შუა ზღვაზე დაიღუპა ფრანგების ორთქლმავალი „ფურნალი“.**

—

**საბერძნეთის გემებმა, რომელნიც ეგვიპტეში იქმნენ დაჭერილნი, გახვლის ნება მიიღეს.**

# გემების დაღუპვა

**ლონდონი,** 12 თიბათვე. ბარცელონიდან იტყობინებიან: კარდიფის ორთქლმავალი „კენფორჩინი“—დაიღუპა. კაპიტანი და 12 კაცი გადარჩა. „ლლოიდუ“ იტყობინება: ორთქლმავალი „ესტროლოჯერი“ ჩაიძირა. 8 კაცის მეტი არავინ არ გადარჩენილა.

საბერძნეთის ორთქლმავალი „ტატოასი“ ორმინგასის სიმაღლესთან ტინს დაეჯახა.

დანიელების ნავტიკა „სვანეკი“-ს თავს დაეცნენ და გადასწვეს.

ჩასძირეს კიდევ შემდეგნი: იტალიური „სან-ფრანცისკო“, „ჯიუზეპინა“, „სანტისიმისა“ და „გაგრადო-ფამილია“.

ფრანგების: „მიშელი“ და „ტაგსანოსპერი“—უცნობ ეროვნებისა.

ამასთანავე ხმელთა შუა ზღვაზე დაიღუპა ფრანგების ორთქლმავალი „ფურნალი“.

# დეპეშა

**ქუთაისი.**

(საკუთარის კორესპონდენტ.)

**გაზ. „სამშობლოს“ სარედაქციო კოლეგიის მოთხოვნილებით „კუტაისკია ვესტის“ პასუხის მგებელმა რედაქტორმა გერასიმე მელიქ-ავაქოვმა „კუტაისკია ვესტში“ 12 თიბათვის თარიღით № 252-ში სარედაქციო წერილის „მორიგ პასკვილის“ მოთავსების გამო „სამშობლოს“ სარედაქციო კოლეგიას გამოუგზავნა წერილი ულრმესი ბოდიშის მოხდისა.**

# ახალი ამბავი

✦ **გუბერნატორის მოწოდება სიძვირის გამო.** თბ. გუბერნატორმა ვრცელი მოწოდება გამოსცა. ამ მოწოდებაში იგი ეხება ვაჭართა თავგასულობას და ფასების აწევას ყოველგვარ საქონელზე იმ იმედით, რომ სულერთია მცხოვრებნი მოგვცემენ ფასსაო. ესეთ ფსიხოლოგიას ვთვლი ბოროტმოქმედებად და ვაუწყებ ვაჭრებს რომ მე ულონო არავარ ამ დანაშაულობასთან საბრძოლველადო. ყოველ ამნაირ შემთხვევაში დამნაშავენი დასჯილ იქმნებიან სასტიკ სასჯელით და კავკასიიდან გადასახლებითაც კი. დასასრულ გუბერნატორი სთხოვს მცხოვრებთ დეეხმარნენ მას ამ ხელოვნურ ფასების აწევასთან საბრძოლველად, განუცხადონ ხოლმე ყოველ ამნაირ შემთხვევაში მახლობელ საპოლიციო ნაწილში ოქმის შესადგენად და საგანგებო შემთხვევებში როცა ფასებს მეტად თავხედურად სწევენ ვაჭრები პირდაპირ წერილობით მე მომმართონ ხოლმე.

✦ **ჩამოხრჩობა.** 14 თიბათვეს ღამის 2 საათზე თანახმად კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს განაჩენისა ჩამოახრჩეს ვლადიმერ ყრუაშვილი.

✦ **ქართული ოპერა.** საზღვარ გარედ უკვე ცნობილ პიანისტს და პარიზის კონსერვატორიაში სწავლა დამთავრებულ ირაკლი ალექსანდრეს ძე ჯაბადარს როგორც ლოზანიდან გვატყობინებენ დაუწერია ოპერა სახელად „გიულნარა“ ჩვენი მუსიკით. ეს ნაწარმოები ბ-ნ ჯაბადარს დაუგზავნია სამსჯავროდ ცნობილ საზღვარგარეთელ კომპოზიტორებისათვის და ყველას მოუწონებია. თანაც უცნობებიათ რომ პირველსავე შემთხვევაზე ომის შემდეგ დავსდგამთ სცენაზე ამ ოპერასაო.

**ექსკურსია.** კვირას, 12 ივნისს, ქართულ კულტ. მოყვარ. საზოგადოების გამგეობის მიერ გამართულმა ექსკურსიამ მრავალი ხალხი მიიზიდა. ექსკურსია გაემგზავრა მცხეთას დილის 9 საათზე. ექსკურსანტებმა ბ-ნ მოსე ჯანაშვილის ახსნა-განმარტებით დაათვალიერეს მცხეთის უმთავრესი სიძველენი—სვეტი-ცხოველი, სამთავროს დედათა მონასტერი და სხვა. და საღამოს 9 საათზე თბილისში დაბრუნდნენ. ექსკურსიამ იმდენად დააინტერესა მონაწილენი, რომ მათ შორის გამოითქვა სურვილი ეხლავე გაიმართოს მთელი რიგი ექსკურსიებისა თბილისის, ბორჯომის ხეობაში, გორსა, კახეთსა, საინგილოსა და სხვაგან.

✦ **ნ. ჟ. თავდგირიძე** სოხუმის ქალაქის მოურავი, თბილისს ჩამოვიდა. ის გამოწვეულია მეფის ნაცვლის კანცელარიის მიერ სოხუმის საქალაქო მამულის გამო, რომელიც სამხედრო საინჟინერო გამგეობამ ქალაქს ჩამოართვა ერთ დროს და რომელთა უკანვე დაბრუნებას სთხოვს მეფის ნაცვალს ქალაქის თვითმართველობა. თავ. თავდგირიძეს აგრეთვე საქმეები აქვს ქართულ საქველმოქმედო საზოგალობის მთავარ გამგეობასთან, როგორც თავმჯდომარეს საზოგადოების სოხუმის განყოფილებისას.

✦ **ირ. ევდოშვილის სურათი.** დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა ირ. ევდოშვილის ახალი, უკანასკნელი სურათი დიდის ზომისა, მშვენიერ სქელ ქაღალდზე. სურათი ღირს ათ შაურათ. მთელი შემოსავალი განსვენებულის ოჯახს გადაეცემა. ვინც 10 ცალზე მეტს დაიბარებს ორ აბაზობაზე დაეთმობა. მიჰმართეთ „საქართველოს“ რედაქციას.

✦ **თბილისში ჩამოვიდა** მოსკოვის ქართულ საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი ექიმი მ. ო. ზანდუკელი.

✦ **ლტოლვილთა მოხაწყობად** მეფის ნაცვლის განკარგულებაში დღემდე 7107807 მან. გაღებულა. ლტოლვილთა რიცხვი 237235 სულს უდრიდა.

✦ **წყლის უქონლობა.** გუშინ და გუშინ წინ თბილისში წყლის მილი კიდევ უფრო ცოტა წყალს იძლეოდა. ჰავჭავაძის ქუჩის თავში, საიდანაც სახლებში ეზიდებიან წყალს, მილი ერთ წვეთ წყალსაც არ იძლეოდა. მთაწმინდის უბნელები სასმელ წყალს მამა დავითის გალავნიდან ეზიდებოდნენ. მილის წყლის შეწყვეტის მიზეზად ქალაქის თვითმართველობის მოხელენი იმას ასახელებენ, რომ მტკვარში წყალმა დაიკლო და 2 მილში წყალი აღარ ვარდებაო.

✦ **საღამო-მეჯლისი.** შაბათს, 18 თიბათვეს, სახალხო სახლში მსახიობი ზ. გომელაური გამართავს დიდს სალიტერატურო და სამუსიკო იუმორისტულ საღამოს. მონაწილეობას იღებენ: ვას. აბაშიძე, ივ. სარაჯიშვილი, ი. გრიშაშვილი, ალ. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი.

✦ **კადეტთა კორპუსები.** როგორც დანამდვილებით ამბობენ, საბურთალოზე უნდა გადავიდეს პირველი კადეტთა კორპუსი და აგრეთვე მეორეც, რომლის თბილისში დაარსება უკვე გადაწყვეტილია. იქვე უნდა აშენდეს ამ მასწავლებლისათვის შენობა. მთავრობას გადაწყვეტილი აქვს შეიძინოს 32 დესეტინა მიწა შესაძლებელ ფასებში.

✦ **თავის კვლა.** 13 ივნისს ღამის 10 საათზე 19 თებერვლის ქუჩაზე ტრამვაის ქვეშ ჩავარდა ოსმალეთის ქვეშევრდომი შ. ეგეკიანცი 40 წლისა და სასიკვდილოდ დაშავდა. მიხეილის საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ ეგეკიანცი უკვე გარდაიცვალა.

✦ **კავკასიის სამხედრო შტაბი** საზაფხულოდ კოჯორს გაემგზავრა.

✦ **ახალ საპატიმროში** მოთავსებული საავადმყოფო 20 თიბათვეს ახალ შენობაში გადადის არამიანცის სახლში გოლოვინის პროსპექტზე.

✦ **ფულის გადადება.** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ, თანახმად სკოლების მეთვალყურის მოხსენებისა, 300 მანეთი გადასდვა ზუგდიდის სკოლის მოსაწყობად.

✦ **ქართული წერის რვეულები.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დაადგინა ნება მისცეს დიტიატკოვსკის ამხანაგობას გამოსცეს ქართული წერის რვეულები წ. კ. გ. ს. „იარლიკით“.

✦ **გადამდები სნეულებანი.** 14 თიბათვეს ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 59, ხუნაგიანი 9, ყვავილიანი 2, სახადიანი 91, საოფლიანი 141, მუცელათი 1, მენინგიტიანი 2 და ხოლერის ნიშნებით 1 კაცი.

✦ **სურსათ-სანოვაგე.** 14 თიბათვეს რკინის გზით შემოიტანეს თბილისში ფქვილი 31 ვაგ. და შაქარი 1 ვაგონი.

✦ **მორიგი კრება.** დღეს, 16 თიბათვეს, საღამოს 8 საათზე, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება ექნება. სხვათა შორის გადასაწყვეტია საკითხი, თუ როდის დაინიშნოს საზოგადო კრება მდივნის ასარჩევად.

✦ **წერა-კითხვის** გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა ფულითადი მადლობა გამოუცხადოს წერილობით და გაზეთების საშუალებით ვოლგა-კამის ბანკის თბილისის განყოფილებას 1.000 მანეთის შემოწირვისათვის.

✦ **დ. არაყიშვილის ახალი შრომა.** ცნობილ კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილისაგან ჩვენმა რედაქციამ მიიღო მისი საყურადღებო ნაშრომი „ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება“, მე-V ტომი მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული მუსიკალურ-ეთნოგრაფიული კომისიის გამოცემული. წიგნში მოთავსებულია ნოტებზე გადმოღებული ქართულ ხალხური სიმღერები განმარტებით და სურათებით. წიგნი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი, დიდი ფორმატისაა და შეიცავს 304 გვერდს. ფასი 3 მანეთი, იყიდება თბილისში წიგნების ცენტრალურ მაღაზიაში.

✦ **ქალაქის კომისიებში.** დღეს ქალაქის საბინადრო კომისიის სხდომაა დანიშნული.

— შაბათს, 18 თიბათვეს დანიშნულია სხდომა საპენსიო და შემწეობის აღმოსაჩენ კომისიისა.

✦ **მდივნის კანდიდატურა.** ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მდივნად სხვათა შორის ბ-ნ სიმ. ქვარიანსაც ასახელებენ, რომელსაც საზღვარ-გარედ მიუღია სასოფლო სამეურნეო განათლება და ამ საგნის შესახებ ბევრი ნაწერებიც აქვს ქართულსა და სხვა ენებზე.

✦ **კუპრინის „ორმოს“ აღკრძალვა.** თბ. პოლიცმეისტერმა „კინო პალასის“ თეატრს აუკრძალა კუპრინის ნაწარმოების „ორმოს“ ჩვენებისა.

✦ **სახინოდო კანტორის** პროკურორის დროებით მოადგილეობას ა. ა. დავითაშვილი შეუდგა.

✦ **სასოფლო სამეურნეო** ინსპექტორი ბ-ნი ტიმოფეევი კახეთს გაემგზავრა.

**ქუთაისი.**

— ქუთ. ქართული თეატრის შეკეთება უკვე დაიწყო, რომელიც გასტანს ორ თვეს.

— ქუთაისის ბაზარზე აბრეშუმის პარკი ამ ჟამათ ფასობს პირველი ხარისხის 30 მ. მეორესი 28 მ. და მესამესი კი 26 მან. ჯერჯერობით ცოტა პარკი შემოდის.

— მებოჰკეებმა დიდათ გააძვირეს წყალი, მათ თავგასულობას საზღვარი არ აქვს.

— **ქუთაისის** გუბერნიის სასოფლო სამეურნეო აღწერილობას ამ დღეებში შეუდგებიან. ამისთვის ინსტრუქტორების და მათი თანაშემწეების ორგანიზაცია უკვე შედგა და შეისწავლეს საქმის გარემოება.

— კვირას, 11 თიბ. ს. სამრევლო სკოლის დარბაზში მოხდა დ. კლდიაშვილის სახელობის სამკითხველოს წევრთა კრება. კრებამ დაამტკიცა გამგეობის მოხსენება ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. 191 წ. ივნისიდან დღემდე სამკითხველოს ყოლია 15 ათასამდე მკითხველი. საწევრო ფულის მხრით კარგ მდგომარეობაშია სამკითხველო. კრებამ შეავსო გამგეობის წევრები და ამოირჩია კერძო კომისია სიმკითხველოსთვის ახალი შენობის შესაძენათ და სახსარის აღმოსაჩენათ.

— ქუთაისის ქართული გიმნაზიის 6 და 8 კლასის მოწაფეთა გამოცდა დასრულდა. გამოცდამ კარგად ჩაიარა. სამოსწავლო ოლქის წარმომადგენლად წელს გამოცდებს დაესწრო ნ. ნ. ზახაროვი.

— ქალაქის გამგეობამ წარუდგინა ქუთ. გუბერნატორს დასამტკიცებლად თვითმართველობის მოსამსახურეთა ახალი შტატი.

— ქალაქის საბჭოს მომავალ მორიგ სხდომაზე განიხილავს 1916 წლის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვას.

— კვირას, 12 თიბათვეს, სადგილმამულო ბანკის დარბაზში მ. ფალავას თავმჯდომარეობით შესდგა ქუთ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ. კრება. კრებამ გამგეობაში ამოირჩია ზოგი გამოკლებული წევრის მაგიერ, ქართული გიმნაზიის ახალგაზრდა მასწავლებლები ევსევი, მიქელაძე და ალ. წერეთელი. კრებამ დასასრულ დაათვალიერა საკუთარი მუზეუმი.

**გორი.**

— 10 თიბათვეს თბილისის სახაზინო პალატიდგან გამოგზავნილმა რევიზორმა რევიზია მოახდინა გორის სასამართლოში და იმავე დღეს თბილისში დაბრუნდა.

— მეჯვრისხევის ბოქაული დავით ქარუმიძე სამსახურიდგან გადააყენეს, მის მაგივრათ ნიშნავენ ბორჯომის ბოქაულის თანაშემწეს მაისურაძეს.

— გორის ბოქაული, სანდრო მაისურაძე ბორჯომში გადიყვანეს ბოქაულათ, ხოლო მის მაგივრათ დანიშნეს ქვემო ჰალაში მყოფი ბოქაული რუდენკი.

— სად. აგარის და ქარელის შუა, რკინის გზის ლიანდაგის 20 საჟენის მანძილზედ, რკინის გზის მოხელეს თომა სხილაძეს უპოვნია შეხვეული ბავშვი.

— გორის კოოპერატივში 12 თიბათვიდგან წევრებს კვირაში ხუთ-ხუთ გირვანქაზე მეტ შაქარს აღარ მისცემენ.

— თებერვლის შუა რიცხვებში სოფ. ხიდის თავში მცხოვრები გლეხი გიგა სამადალაშვილი უკვალოდ დაიკარგა. მას ჯიბეში 50 მანეთი ჰქონია. ეხლა მისმა ცოლმა პელაგია სამადალაშვილმა ეჭვი გამოაცხადა სოფ. ურბნისში მცხოვრებ სინკა ხიზანაშვილზედ. ხიზანაშვილს აღმოაჩნდა დაკარგულ სამადალაშვილის ახალუხი, რომელიც დაკარგვის დროს სცმია ტანზედ.

— ამ რამდენიმე დღის წინათ სოფ. ხურვალეთში მეჯვრისხევის ბოქაულათ ნამყოფ დავით ქარუმიძესთვის ძალზედ უცემიათ ლეო მაღალაშვილს და ილია ყანჩელს. ქარუმიძეს სიტყვით, ხელში დაუჭრიათ იგი ხანჯლით და ერთხელ რევოლვერიც უსროლნიათ მაგრამ ასცდენია. მაღალაშვილი და ყანჩელი 12 თიბათვეს გორის ციხეში გაგზვნეს. გამოძიება სწარმოებს.

# ღარიბ მოწაფეთა

**შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება**

**13 თიბათვე**

კრება დაიწყო საღამოს 9 საათ. 10 წუთ., რომელსაც გუბერნიის მარშალი თავ. კ. ნ. აფხაზიც დაესწრო. კრება ისევ უბრუნდება სარევიზიო კომისიის მიერ გამოწვეულ აურ-ზაურს.

თავმჯდომარე **პ. ი. გვერდწითელი.** წარმოდგენილია რამდენიმე რეზოლიუცია, მაგრამ ვერც ერთს მათგანს ხმას ვერ ჩამოუტარებ, რადგან ავტორები რეზოლიუციებისა ერთის მხრივ პატივისცემით და ნდობით იხსენიებენ გ. ყაზბეგს, ალ. მდივანს და დ. ჯორჯაძეს, ხოლო მეორეს მხრივ ცუდათ იხსენიებენ და ჰკიცხავენ სარევიზიო კომისიას.

ბ-ნმა თავმჯდომარემ თავის მხრივ შემდეგი რეზოლიუცია წაუკითხა კრებას: საზოგადო კრება უარს ჰყოფს სარევიზიო კომისიის მოხსენების იმ ნაწილს, რომელიც ეხება გ. ნ. ყაზბეგს, ა. ბ. მდივანს და დ. გ. ჯორჯაძეს და თავისს პატივისცემას უცხადებს ზემოთ დასახელებულ პირთ. ამ რეზოლიუციის მიღება სთხოვა თავმჯდომარემ კრებას.

სხვებიც აპირებენ რეზოლიუციების წარმოდგენას, მაგრამ თავმჯდომარე ნებას არავის აძლევს.

**პრ. ივ. ჯავახიშვილი** წინააღმდეგია გვერდწითელის რეზოლიუციისა, რამდენათაც ეს რეზოლიუცია ეხება ბ-ნს მდივანს. ორატორს ვერ წარმოუდგენია, როგორ უნდა გამოეცხადოს ნდობა და პატივის ცემა ბ-ნს მდივანს მას შემდეგ, რაც კრებას თვალწინ გადაეშალა შემზარავი სურათი გიმნაზიაში მომხდარ უწესოებისა. გიმნაზიის გამგე ფიზიკის კაბინეტზე ხარჯავს ტურიაშვილის ნაანდერძევ ფულებს, რომლის პირდაპირი დანიშნულება ძაან კარგად იცის. ბ-ნმა მდივანმა აგრეთვე კარგად იცოდა, რომ ეპიტაშვილი საზოგადო ფულებს სჭამდა, მაგრამ არავითარ ღონისძიებას არ ღებულობდა ამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. გიმნაზიის კანცელარიაში ისეთი აწეწილ-დაწეწილი იყო საქმეები, რომ მდივნის წასვლის შემდეგ მისმა ორმა თანაშემწემ (იგულისხმებიან ბ-ნნი მიქაბერიძე და კარიჭაშვილი) კომიტეტის თხოვნით ძლივ-ძლიობით მოაწესრიგეს კანცელარიის საქმეები.

თავმჯდომარე **ბ-ნი გვერდწითელი** ამოწმებს ორატორის უკანასკნელ სიტყვებს.

**ბ-ნი დ. კარიჭაშვილი** პროტესტს აცხადებს და ხმამაღლა გაიძახის: სიცრუეა ეს, სიცრუეა! ასეთი არა ყოფილა-რა.

**ბ-ნი გვერდწითელი** აცხადებს, რომ ეს ასე იყოვო და თან დასძენს, რომ კანცელარიის მოწესრიგებაზე ფულებიც მოგეცითო.

**ბ-ნი დ. კარიჭაშვილი** ისევ იმეორებს. სიცრუეა ეს, ასეთი არა ყოფილა რაო.

**ბ-ნი გვერდწითელი.** აქ ან მე უნდა ვიყო და ან ბ-ნი დ. კარიჭაშვილი.

ასტყდა ერთი აურ-ზაური, კაცი ვეღარას გაიგებდა.

**ბ-ნ ი. კაჩუხოვს** წინადადება შემოაქვს, რომ დ. კარიჭაშვილმა ბოდიში მოიხადოს ბ-ნ გვერდწითელის წინაშე.

**ბ-ნი დ. კარიჭაშვილი.** თითონ გვერდწითელმა მოიხადოს ბოდიში ჩემს წინაშეო.

ისევ აურ-ზაურია. ბ-ნი გვერდწითელი დარბაზიდან გასვლას აპირებს, მაგრამ აბრუნებენ უკანვე. ხალხი დაწყნარდა.

**თავმჯდომარე** თხოულობს ხმა მისცენ მისს რეზოლიუციას, მაგრამ ზოგნი მოითხოვენ, რომ 10 თიბათვის დადგენილებით დაკმაყოფილდეს კრება და საკითხი დამთავრებულად ჩაითვალოს.

უკანასკნელი წინადადება შეწყნარებულ იქმნა 12 ხმით 8-ს წინააღმდეგ, ე. ი. კრება დაკმაყოფილდა 10 თიბათვის დადგენილებით, რომელიც ამბობს, რომ სარევიზიო კომისიის მოხსენების დასკვნა ბ-ნ ალ. მდივნისა, გ. ნ. ყაზბეგისა და დ. გ. ჯორჯაძის შესახებ უარყოფილ იქმნასო.

**პრ. ივ. ჯავახიშვილი** თხოულობს, რომ კრებამ მადლობა და ნდობა გამოუცხადოს ბ-ნთ გ. ყაზბეგს და პ. მდივანს, რომლებმაც [illegible] მოქმედება ეპიტაშვილისა [illegible] შვილისა.

**ბ-ნი სპ. ბაქრაძე** ეთანხმება ბ-ნს ჯავახიშვილს.

**თავ. მ. დ. ჭავჭავაძე.** წინააღმდეგი არ არის იმისა, რომ მადლობა გამოეცხადოთ აღნიშნულ პირებს, მაგრამ ეს მადლობა ზედმეტად მიაჩნია, რადგან საზოგადოების მიერ არჩეულ პირების პირდაპირ მოვალეობას შეადგენს დაიცვას ამომრჩეველთა ინტერესები, არა დაჰკარგოს-რა და არც არავის დააწებოს მოსაპარავად და გასაფლანგავად საზოგადოების კუთვნილება, ხოლო თუ ვისმეს რამე მოუპარავს, ეს ბოროტმოქმედება უნდა აღმოაჩინონ.

**ბ-ნი დ. კარიჭაშვილი.** მე არ შემიძლიან დავეთანხმო იმ ორატორებს, რომელნიც წინადადებას იძლევიან მადლობა გამოვუცხადოთ ბ-ნს გვერდწითელს ბოროტმოქმედების აღმოჩენისათვის. მართალია, მადლობის ღირსია ყოველი ბოროტმოქმედების აღმომჩენი, მაგრამ აღმოჩენაც არის და აღმოჩენაც. ბ-ნმა გვერდწითელმა აღმოაჩინა ის ბოროტმოქმედება, რომელსაც გაჩენის საშუალება მისცა თვით გამგე კომიტეტმა და მათ შორის განსაკუთრებით ბ-ნმა გვერდწითელმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გამგე კომიტეტისაგან ანგარიშების წარმოებაზე თვალ-ყურის დაჭერა, იყო ერთგვარი სისტემა, რომელსაც შეეძლო ბოროტმოქმედება დაებადნა: ბუხგალტერს აძლევდნენ ნებას კასირის არ ყოფნის დროს მიეღო კვიტანციებით ფული. ბუხგალტერი, რომელიც არის გაჩენილი კასის შესამოწმებლად, გადააქციეს კასირად, თუ მთლად არა, ნახევრად, მესამედად მაინც, რადგან თითქმის ყოველდღე უხდებოდა ბუხგალტერს რავდენსამე საათს, კასირის გვიან მოსვლის ანუ ადრე წასვლის გამო, ფულის მიღება, ეს წესი ნება დართული იყო კომიტეტისაგან. სამი წელიწადი მაინც იყო ბ-ნი გვერდწითელი კომიტეტში ბოროტმოქმედების აღმოჩენამდე, ჰხედავდა უცნაურს უწესოებას და არ იფიქრა არც ამ უწესოების მოშლა, არც ბუხგალტრის შემოწმება. თითონ ვერ მიხვდნენ ვერც გვერდწითელი და ვერც მისი ამხანაგები და არც ღებულობდნენ სხვების გაფრთხილებას იმ მხრივ, რომ კასისა დ ბუხგალტერის შორის იყო უთანხმოება და, მაშასადამე, თუ ბოროტმოქმედება არა, უწესოება მაინც. მოხდებოდა ახლა იცით ვინ იყო ის, რომელიც აფრთხილებდა კომიტეტს, რომ შეემოწმებინათ საბუჰგალტრო წიგნები? ეს იყო ყოფილი დირექტორი ბ-ნი მდივანი. მე გამიგონია როგორც თვით მდივნისაგან, ისე ბ-ნ სპ. ბაქრაძისაგან, რომელიც ბრძანდებოდა კომიტეტის წევრად, შემდეგი: წლიურ ანგარიშის შედგენის დროს, როდესაც კასის ანგარიშის მიხედვით გამოირკვევოდა ხოლმე გადაუხდელი სწავლის ფულის ნამეტნავად დიდი რაოდენობა, მდივანი ყოველთვის აცხადებდა, რომ იმ ცნობების მიხედვით, რომელსაც აწვდიდა მას და ინსპექციას კომიტეტის ბუხგალტერი, გადაუხდელი ფული გაცილებით ნაკლებიაო. იმის მაგიერ, რომ ამ განცხადებისათვის მიექციათ შესაფერი ყურადღება და თავიანთ ბუხგალტრის ცნობებში სიყალბე დაენახათ, ბ-ნი გვერდწითელი პასუხად ეტყოდა თურმე მდივანს: ეგ თქვენ იმიტომ გამოგდით ნაკლები, რომ მოწაფეების გაცილებით მეტს პროცენტს ანთავისუფლებთ, ვიდრე ჩვენგან გაქვთ დავალებული. მდივნის მტკიცებას, რომ იმაზე მეტს არ ვანთავისუფლებ, რის ნებასაც იძლევა კომიტეტიო, ყურს არ ათხოვებდნენ და ამნაირად მეტის ნდობით ეკიდებოდნენ თავიანთ უკანტროლო ბუხგალტერს, ვიდრე გიმნაზიის დირექტორს. ბოლოს ხომ იქნა აღმოჩენილი ბოროტმოქმედებაო, ბრძანებენ; ამისთვისაც ეკუთვნით მადლობაო. დიახ აღმოჩენილ იქმნა ბოროტმოქმედება, მაგრამ შემთხვევით, მას შემდეგ, როდესაც ხელში ჩაუვარდათ ყალბი კვიტანციები. ამისთანა აღმოჩენისთვის თუ გნებავთ გამოუცხადეთ მადლობა.

**პრ. ივ. ჯავახიშვილს** ბ-ნ კარიჭაშვილის ნალაპარაკევიდან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ბ-ნ ალ. მდივანს სცოდნია, რომ ბოროტმოქმედება ხდებოდა გიმნაზიაში და არა ულონებია-რა ამ ბოროტმოქმედების მოსასპობად.

**ხმები:** მდივანი რასაც ჰხედავდა, კომიტეტს ეუბნებოდა და მეტი რა ძალა იყო მის ხელთ, რა შეძლო?

**თავმჯდომარემ** დაატყო-რა, რომ ბ-ნ ჯავახიშვილის წინადადებას მადლობის გამოცხადების შესახებ ცოტა მომხრე ჰყავდა წინადადება იგი მოხსნა.

# გურიის მეურნეობის მოკლე მიმოხილვა

**(მაზრის საერობო აგრონომის ბ-ნ ბ. ა. პერმანის 1915 წ. ანგარიშიდან).**

(დასასრული. იხ. „საქ.“ № 132)

საანგარიშო წლის კლიმატიური პირობები ძლიერ საზარალო და საზიანო შეიქნენ გურიისთვის.

არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ არაჩვეულებრივი სიცივეები აპრილის ბოლო რიცხვებში, უმთავრესად დაბალ ადგილებში, რამაც საშინლად დააზიანა მეურნეობა, მაგალ. ვაზი, ხეხილი და სხვ.

როგორც ქვემო მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, ზამთარი ძლიერ მშრალი იყო, გაზაფხული და ზაფხული კი ნოტიო და წვიმიანი.

| | | ოზურგეთი | ფოთი |
|---|---|---|---|
| 1915 წლის ლექ. | [illegible] | | |
| | [illegible] | 594 | 574 |
| | [illegible] | 466 | 261 |
| | [illegible] | 228 | 129 |
| საშუალო ლექი (осадки) რამდენიმე წლის. | [illegible] | 758 | 616 |
| | [illegible] | 426 | 513 |
| | [illegible] | 315 | 248 |
| | [illegible] | 578 | 356 |
| | პუნქტები | | |

მკათათვეში და მარიამობისთვეში გამანადგურებელი გავლენა იქონია ლექმა (осадки) მთელს მეურნეობაზე. თქმა არ უნდა, რომ სიმინდის მოსავალს ხელს უწყობენ გაზაფხულზე წვიმები ტაროს გაკეთების ხანს კი მკათათვე-მარიამობისთვის ცხელი ამინდები. ამ წელს კი სწორედ მკათათვეზე მოდის 331 მილ. ლექი (осадки), როდესაც სხვა დროს გურიაში არ ასცილებია იგი 179 მილ.

კლიმატიურს გარდა ეკონომიურმა პირობებმაც ხელი შეუწყვეს ამ წელს მეურნეობის დაცემას: წინა წლის მოუსავლობამ და ახალგაზრდათა ჯარში გაწვევის გამო მუშა ხელის შემცირებამ სოფლად გამოიწვია მიწის დაუთესველობა, რაც ძლიერ ემჩნეოდა უმთავრესად ლანჩხუთის რაიონს, სადაც რიონის დაბლობები თითქმის მთელ მაზრას ჰკვებავდნენ წინედ და ბაზარზედაც გაჰქონდათ 1,000,000 ფუთამდე სიმინდი; ამ წელს კი ნახევარზე მეტი გასცდა.

შემდეგ ვენახისა და ხეხილთა საწამლო საშუალებათა უქონლობის გამო, ძლიერ გავრცელდა სოკოს ავადმყოფობა, რამაც მთლად ბოლო მოუღო აპრილის ყინვებისაგან უიმისოდაც დამძრალ ხეხილს.

განმეორდა 1914 წელი და თავი იჩინა ვაზის, ხილის და სხვ. მეურნეობის მოუსავლობამ; ასე მაგალ., როდესაც დაბლობებში სხვა დროს ქცევაზე 60—80 ფუთი სიმინდი მოდიოდა, ამ წელს მხოლოდ 25 ფ. მოვიდა. მაღლობებში კი, სადაც 20—25 ფ. მოდიოდა აქ წვიმების წყალობით მოსავალმა სულ ცოტათი მოიმატა კიდეც.

ყურძნისა და ხილის მოსავალი სულ მცირე იყო და ისიც ცუდი ხარისხის.

გურია, რომელსაც სხვა დროს 1.000,000 ფუთამდე სიმინდი გაჰქონდა ბაზარზე გასაყიდათ, თითონ ჩავარდა ისეთ უმწეო მდგომარეობაში 1914 წლის მოუსავლობის წყალობით, რომ 1915 წელს 300,000 მან. სესხის აღება დასჭირდა საიმპერიო გამოსავლები თანხიდან, რომ სიმინდი შეეძინა ჩრდილო კავკასიაში და თავიდან აეცდინა სიმშილობა.

ასეთი მდგომარეობა ახლაც გრძელდება: ადგილობრივი ადმინისტრაცია უკვე შეუდგა გურიისათვის სიმინდის შემოტანაზე ზრუნვას ჩრდილო კავკასიიდან.

ამ წელს მხოლოდ სულ სხვა მოვლენას ჰქონდა ადგილი გურიაში: თვითოეული რუსის მეოურნეობისთვის საჭირო იარაღს—ცელს—აქ სულ ვერ შეხვდებოდა კაცი მანამდე, რადგან სულ არ მოიპოვებოდა სათიბები. ამ წელს კი თითქმის მცხოვრებთა უმეტესობამ შეიძინა ეს იარაღი, რადგან სიმინდის ყანების დიდი უმრავლესობა სათიბ თივას წარმოადგენდა.

როგორც ზემო მოყვანილ კლიმატიურ ცნობებიდანა სჩანს, გურიას პირველი ადგილი უნდა ეჭიროს ქუთაისის გუბერნიაში მებაღეობისა და მებოსტნეობის მხრით, მაგრამ სამწუხაროდ მეურნეობის, განსაკუთრებით უკანასკნელ დარგს არავინ ჰკიდებს ხელს, მიუხედავად იმისა, რომ თითოოროოლა მისდევს და თვალსაჩინო შემოსავალსაც იძლევა. რა უმწეო მდგომარეობასაც განიცდის გურიაში მეურნეობის ეს დარგი, მკითხველი დაინახავს ქვემო მოყვანილი ციფრებიდან. 1913 წელს ოზურგეთის მაზრის რკინის გზის 6 სადგურიდან გაუტანიათ:

| | | |
|---|---|---|
| ხორბლეულობა. | 940,706 | ფუთი. |
| ღვინო . . . . | 2,207 | „ |
| ხილი . . . . . | 2,078 | „ |
| ბოსტნეულობა . . | 169 | „ |

მებაღეობის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს შესაფერი „პიტომნიკების“ უქონლობა, როგორც თვით ბ. პერმანიც ბრძანებს თავის ანგარიშში და იგრეთვე ბაზარზე ნაყიდი ნერგების უვარგისობა.

მცხოვრებნი მომეტებულათ დაბასოფელთა ბაზარზე შემოტანილ ნერგებს იძენენ და ამგვარად ებმევიან „გაუგებრობისა“ და უცოდინრობის ქსელში. ბაზარზე ნაყიდი უჯიშო ნერგი ძლიერ ნელა იზრდება, გვიან იძლევა ნაყოფს, ხშირად დაზიანებულია რაიმე ავადმყოფობით, მასთან ისიც არ იციან, ეგუება თუ არა იმ ადგილის ჰავას და ნიადაგს, სადაც რგავენ, ასე რომ ბოლოს ფუჭად უვლის გლეხს დახარჯული დრო, შრომა და ფული.

ზოგიერთ დაბალ და ნოტიო ადგილებში რომ მაღლარის ჯიშის ვაზი კარგად ხარობს და ნაყოფსაც შესამჩნევს იძლევა, არავისში ეჭვს არ ბადებს; ხშირად უპირატესობასაც აძლევენ მცხოვრებნი, რადგან მაღლარს იმდენი შრომა და მოვლა (გასხვლა, ახვევა და სხვ.) არ სჭირია, რამდენიც დაბლობს, ადვილად არ უჩნდება ავადმყოფობა და არ ზიანდება და ამიტომ არც წამლობა სჭირია, არც ნაყოფი ლპება; მასთან იმავე ადგილზე სხვა ხეხილის გაშენებაც შეიძლება.

როგორც ზევითაც გვქონდა მოყვანილი მებოსტნეობას მხოლოდ თითოოროოლა მცხოვრები მისდევს, ეს კი ისეთი დარგია მეურნეობისა, მეტადრე გურიისთვის, რომელსაც ღირსშესანიშნავი მომავალი აქვს. მებოსტნეობის შემოსავალს შეუძლიან ფეხზე დააყენოს ადგილობრივი გლეხის ნიადაგ-შერყეული ეკონომიკა და ხელი შეუწყოს მის ფეხზე წამოდგომასა და მოღონიერებას, რადგან ბოსტნეულობას დიდი მოთხოვნილება აქვს ბაზარზე.

გურიას კი განსაკუთრებული პირობები უწყობენ ხელს: მას ორი მხრიდან აერთებს რკინის გზა კავკასიისა და ცენტრალ რუსეთის დიდრონ ქალაქებთან; ამას გარდა გურია ორი საათის სავალზეა შავი ზღვის ნაპირზე მდებარე ნავთსადგურებიდან; შემდეგ შავი ზღვის რკინის გზის დამთავრებით ხომ უფრო დაუახლოვდება ბაზარს, რითაც უფრო გაიზრდება მოთხოვნილება მისი მეურნეობის ნაყოფზე, რაც კვალად ხელს შეუწყობს მისი მეურნეობის აყვავება-განვითარებას.

ქვევით ბ. პერმანს მოჰყავს ის ზომები, რომელიც მიუღია, სიმინდის, ხეხილისა და ბოსტნეულობის გასავრცელებლად გურიაში; რამდენიმე ადგილს მოუწევიათ სანიმუშო და საცდელი პუნქტები, უცდიათ სხვა და სხვა ჯიშის სიმინდის მოყვანა, ჰქონია baasi გლეხებთან მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ და სხვ...

**გ. ჯავახი.**

## „სინათლის“ საზოგადოების წევრთა წლიური კრება

(წერილი ქუთაისიდან)

კვირას, 12 თიბათვეს, ქიათურის შავი ქვის საბჭოს დარბაზში მოხდა „სინათლის“ საზოგადოების წევრთა კრება. თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს თ-დი **მ. ფალავა**, მდივნად ბ-ნი **გ. ჭუბაბრია.** კრებას მოჰხსენდა გამგეობის მოქმედების ანგარიში. მცირე კამათის შემდეგ კრებამ მადლობა გამოუცხადა გამგეობას მუყაითი და ნაყოფიერი შრომისათვის.

გამგეობის მდივანმა **პ. ყიფიანმა** კრებას მოახსენა, გამგეობამ შეუძლებლად სცნო წევრთა საზოგადო კრება მოიწვიონ მაისის თვეში, საჭიროა თიბათვეში მოიწვიონო. კრებამ დაადასტურა გამგეობის აზრი და კრების მოწვევის დრო განსაზღვრა არა უგვიანეს 20 თიბათვისა. კრების მოწვევის ბარათები დაეგზავნებათ წევრთ ერთი კვირით წინ კრების მოწვევამდის.

კრებამ საწევრო გადასახადი 5 მან. გადასწყვიტა მხოლოდ ერთი წლით.

**პ. ყიფიანი.** გამგეობამ აღმოაჩინა შესაფერი ადგილი ქართულ სავაჟო გიმნაზიასთან. ეს ადგილი ეკუთვნოდა ბავშვებზე მზრუნველ საზოგადოებას. ამას წინად ამ საზოგადოებამ დაადგინა, მიეყიდოს ხსენებული ადგილი „სინათლის“ საზოგადოების ქართულ ქალთა გიმნაზიის ასაგებათ 12 ათას მანეთად. საჭიროა ამ მამულის შეძენა. შეიძლება მამული საადგილ-მამულო ბანკში დავაგიროთ.

მცირე კამათის შემდეგ კრება ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ეს იყიდოს ადგილი ბანკის საშუალებით.

კრებას მოჰხსენდა მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვა. საანგარიშო წელს სასწავლებელს დასჭირდება 24,600 მ. და შემოსავალი იქნება დაახლოებით 34235 მ.

**ს. რობაქიძე.** ბ-ბო, ხარჯთ აღრიცხვაში ძლიერ ცოტა არის შეტანილი მასწავლებელთა ჯამაგირი. როგორ შეიძლება ასე მცირე ჯამაგირით ასეთ დროში ცხოვრება ინტელიგენტი ადამიანისა. მასწავლებელთ უნდა დაენიშნოთ არა ნაკლები ხუთი თუმნისა თვეში.

**კ. აბაშიძე** (გამგეობის თავმჯდომარე). ჩვენ, ბ-ბო, ცოტა ეკონომიურათ შევხედეთ საქმეს. მასწავლებელთა ჯამაგირების განაწილება მოხდა მათივე თანხმობით. თუ კრება თანახმა იქნება, ჩვენ მზათა ვართ მოვმატებისა.

სასწავლებლის გამგე **დ. უზნაძე.** ისეთი ჯამაგირები როგორიც ეხლა არსებობს ქალთა სასწავლებლებში მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს მოხდა. საჭიროა მიექცეს ყურადღება მასწავლებელს სხვა მხრივ მოწყობასაც. საჭიროა ვიშოვნოთ ისეთი უმაღლესათ განათლებული ხელსაქმის მასწავლებელი, რომელიც აღჭურვილი იქნება ხელსაქმის ღრმა ცოდნით. ამიტომ სთხოვს კრებას ორი წლის განმავლობაში ხუთას-ხუთასი მანეთი გადიდევს, რომ ამ თანხით გაიგზავნოს ღირსეული პირი უმაღლეს სასწავლებელში.

კრებამ ეს წინადადება მიიღო.

**ჯ. ჯორჯიკია.** ბ-ბო, უბრალო პედაგოგიური თვალთაზრისით ჩვენი სასწავლებლის შენობა ვერ არის სასურველად მოწყობილი. ბავშვებს არ აქვს ეზო, რომ გაითამაშონ და დაისვენონ, რომელსაც აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ საჭიროა ადგილი გამოვიცვალოთ.

**ვ. წერეთელი** ეთანხმება ჯორჯიკიას. იმ სასწავლებელში ისე ბნელა, რომ ბავშვები დაბრმავდებიანო. (ხმები: მართალია)

**დ. უზნაძე.** ჩვენ სახლის პატრონს შევეკარით სამი წლის ვადით, მაგრამ ეს დაბრკოლებაც შეიძლებოდა აგვეშორებინა მით, რომ იმ შენობას გავაქირავებდით, მაგრამ შენობა ვერ ვიშოვეთ.

**ი. ოცხელი** ეხება ჯამაგირების საკითხს: ეს საქმე მიენდოს გამგეობას და როგორც საჭიროდ დაინახავს და საშუალება ნებას მისცემს, ისე მოიქცევიან.

კრება გამგეობას ანდობს ჯამაგირების და შენობის საკითხის მოწესრიგებას. იმ წინადადებით კი რომ მიეცეს ჯამაგირი მასწავლებელთ. არა უმეტეს 60 მანეთისა.

დასასრულ არჩეულ იქმნა გამგეობაში ისევ ძველი წევრები, ერთი გამგეობისა, სამი სარევიზიო კომისიისა და მათი კანდიდატები.

კრება დასრულდა ღამის 11 საათზე.

**ა. ნ-ძე.**

## იროდიონ ევდოშვილის ხსოვნას

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარემ გ. თ. ჟორდანიამ შემდეგი წერილი მიიღო ბრძოლის ველიდან.

პატივცემულო ბატონო გიორგი!

ძვირფასს იროდიონ ევდოშვილის უდროვოთ დაკარგვამ გული მოგვწყვიტა აქ მყოფ ქართველობას, და ჩვენი სისხლი უნიშნოთ გამოჩნდა მდელოზე ცრემლებში, ვაი საბრალო საქართველო, მუდამ ცრემლებში ◊ ვაებაში აღზრდილო, როდის უნდა შეგაშრეს მდუღარე ცრემლები თვალებზე? ასეთ ძვირფას მგოსნების უდროვოთ დაკარგვის შემდეგ. სჩანს საქართველოს ტკბილი ნანინა ცრემლები ყოფილა. ჩვენც ვსტირით და ვუერთებით ჩვენს პატარა სამშობლოს დიდ მწუხარებას. შორიდან ვკოცნით მის სამარეს.

გვირგვინის ნაცვლად გთხოვთ მიიღოთ ეს სულ მცირედი შემოწირულება—ხუთი თუმანი და 36 კაპ., რომლიდგანაც 25 მან. **გადაეცით მგოსნის ცოლშვილს, ხოლო 25 მან. 36 კაპ. მოანდომეთ ქართველ მოღვაწეთა აგარაკის აშენების საქმეს:**

**შემომწირველთა სია**

**ხუთ-ხუთი მანეთი.**

კოსტ. ვ. დვალისაგან, ნიკ. ს. ბალიაშვილისაგან.

**სამ-სამი მანეთი.**

გიგო სინაურისაგან, ტარასი კობერიძისაგან, ისიდ. თ. დალაქიშვილისაგან 2 მან.

**თითო მანეთი**

ილიკო პ. გოგებაშვილისაგან, პეტ. დოკვაძესაგან, ლევან ი. ხუციშვილისაგან, ივანე ი. კევხიშვილისაგან, სოლიკო მ. შაიშმელოვისაგან. სერგო სუმბათაშვილისაგან, თეიმურაზ ჭიქურაშვილისაგან, ვასილ გუგუშოვისაგან, რომან მახოლდიანი, სიკო ლობჟანიძისაგან, ნიკ. ჩობიკაშვილისაგან, დიანოს სოჭილავასაგან, ბართლ. გიგინეიშვილისაგან, კონტრატი ხუბულავასაგან, ივანე კვარაცხელიასაგან, ვასილ ჩაბაიასაგან, ტარასი ჯობუასაგან, ნ. გოგოხიასაგან, სამსონ კოკაიასაგან, ნიკ. ნინუასაგან, პეტრე კვარაცხელიასაგან, ქარუმ მ. შაიშმელოვისაგან.

**ათ-ათი შაური**

ნიკ. მაისურაძისაგან, სამსონ ეგნატაშვილისაგან, კლიმენტი პარკაიასაგან, იოსებ კვარაცხელიასაგან, გერმან ანთაიასაგან, მიხა კოტუასაგან, ერასტი სულავასაგან, პამ. სტეფანიასაგან, სოსე ზაქარიაშვილისაგან 46 კაპ.

**ორ-ორი აბაზი**

სპირიდონ კობერიძისაგან, ანდრო ტულაიასაგან.

**ექვს-ექვსი შაური**

გიგა გოგელაშვილისაგან, ტარასი ალიხანიანცისაგან.

**თითო აბაზი**

მათე ქავაჩოვისაგან, იოსებ ხვარანციასაგან და ავქსენტი ლემანჯავასაგან 10 კაპ.

## თეატრი და ხელოვნება

„ინსტიქტი“ კისტმეევისა ფრიად სცენიური პიესაა, დიდი შინაარსით. ტეხნიკური მხარე ლამაზად არის ჩამოყალიბებული. თუ არ ავიღებთ ზოგიერთ ტიპების მოქმედების შეკვეცას, უეჭველოდ დასრულებულ პიესად უნდა ჩაითვალოს.

სიუჟეტი აღებულია მეცნიერთა ცხოვრებიდან, სწარმოებს საფრანგეთში. საგანი უმთავრესად ოჯახების დამოკიდებულებას და მოვალეობას ეხება. ჟან ბერნუ (ვლ. ალექსი მესხიშვილი) პროფესორია, კლინიკაში მუშაობს. მისი მეუღლე სესილ (თუ ცეცილ?) ქ-ნი ა. ქიქოძე ვერ ეგუება ასეთს ყოფას და სრულიად სნეულს კაცს შეიყვარებს, რომელიც მის საწოლშივე სისხლს ამოიღებს სწორედ ცოლქმრის გამგზავრების წინა ღამეს. ჟან ბურონუს შემთხვევით ჰსურს ოთახში შევიდეს, სადაც საბედისწერო სცენა მოხდა. როდესაც სერიდ არ გაუშვებს, ეს უკანასკნელი გამოუტყდება ყოვლისფერში და სთხოვს, როგორც ექიმი დაეხმაროს უბედურს განწირულს. აქ იფეთქებს შურის ძიების ინსტიქტი და მოვალეობა. შურის საძიებლად შეიჭრება ოთხში, მაგრამ რამდენიმე წუთს უკან გამოდის და მოითხოვს, ავადმყოფის მოსარჩენად საქირურგიო იარაღი მოუმზადონ. სერილ უაღრესად გაბედნიერებული, ჰკოცნის გულწრფელად, როგორც ნამდვილ ქმარს.

უნდა აღვნიშნოთ, თამაში მესხიშვილისა ჟან ბერნუს როლში, მართლაც საუცხოვო იყო. დიდად საჭიროა ჯერ კიდევ მისი ძალა ჩვენი სცენისთვის.

მის შემწეობით უნდა აღინიშნოს ქ-ნ ქიქოძის თამაში. სასიამოვნოა, როდესაც ხედავთ, თუ დღითი დღე როგორ იზრდება ეს მსახიობი ქალი. იგი კარგი მეცადინეობის შემდეგ და რეჟისორის სათანადო ხელმძღვანელობით მალე სახარბიელო ძალა იქნებოდა ჩვენი სცენისთვის.

სხვათა თამაშს არ შევეხებით. ყველა სცენის მოყვარე იყო და კვალობაზე კარგად თამაშობდნენ, თუმცა თითქმის ყველას ემჩნეოდათ, თუ „პარიზელი“ ტანისამოსი როგორ ცეცხლის პერანგად ედგათ ტანზე...

**დიოგენი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

მოგმართავთ უმორჩილესის თხოვნით, რათა თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გადაუხადოთ **ფოტ. მიხ. ბერეჟიანსა** და **ნიკ. მიხ. ელიოზიშვილს,** რომელთაც კეთილ ინებეს და ჩვენს თეატრს შემოსწირეს: პირველმა—ქალის ძვირფასი ქართული ტანისამოსი ყოველგვარის მოკაზმულობით, ხოლო მეორემ იმ გვარივე ჩოხა-ახალოხი აგრედვე მორთულობით. იმედი გვაქვს მათს მაგალითს სხვებიც მიჰბაძავენ და ჩვენი ღარიბი თეატრისათვის საჭირო საგნებს გამოგვიგზავნიან.

პატივისცემით **დ. ჩობატაურის თეატრის გამგეობა.**

## შემოწირულება

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას მრავალი გამამხნევებელი წერილი მოსდის სხვა და სხვა მხრივ **ქართველ მოღვაწეთა აგარაკის აშენების განზრახვის გამო.**

სხვათა შორის საზოგადოებას მოუვიდა შემდეგი წერილი ერთ-ერთ პოლკის ქართველ ოფიცრებისა და ჯარისკაცებისაგან (პოლკის სახელის გამოცხადება საცენზურო პირობების გამო მოუხერხებელია).

ვთხოვთ მიიღოთ მცირე წვლილი (139 მან. და 50 კაპ.)... ბატალიონის ოფიცრებსა და ჯარის კაცთა შორის შეგროვილი. გისურვებთ მტკიცე და მხნე მოქმედებას, რომ მანდ სახლში, შედარებით მყუდრო ატმოსფერაში ჩვენი მკლავ უნარით მოპოვებულ სიმშვიდეში ჩაგვდგოთ უმწიკვლო და უტყუარი ბურჯი მომავალი კულტურულ ცხოვრების, შესაძლოა ბევრმა ჩვენთაგანმა ვერ იხილოს სამშობლო კერა, თქვენი მუშაობა, სურვილი კი შარავანდედით მოსილ მომავლით ცოცხალია.

მონდომილობით პორუჩიკი **პაპოვი.**

შემომწირველთა სია.

**თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი:**

პორუჩიკ ვიქტ. ნიკ. პაპოვმა, პრაპორჩიკ კოსტ. აგიაშვილმა, პრაპ. ვენედიკ. თომ. თოდრაძემ, პრაპ. დავით ფურცელაძემ, ექიმმა გრიგოლ გაგუამ.

**ხუთ-ხუთი მან:**

პრაპ. დავით სულხანოვმა, ჯარისკაცებმა: პავლ. გრიგ. ქორთხანჯმა, ფილ. ტრიფ. თენეიშვილმა, ნიკ. ელ. ასათიანმა.

**სამ-სამი მან:**

კონსტ. ლუკ. მიქელაძემ, პეტივან. ფაჩუაშვილმა, ბიქტორ მათ. მელაძემ, პროკოფ. ვახტ. თოკაძემ, ლით. ... სიამაშვილმა, ... , გერონტი ... თავაძე... მელქ. ნიჟარაძემ 2 მან.

**თითო მანეთი:**

ალექ. თეიმ. საჯაიამ, პართ დიმიტ. შაბათავამ, რომან. გვარამიამ, გიორგი კოწიას ძე ბელქანიამ, ალექ. ანტ. მეგრელიძემ, ნიკოლ. გიორ. ჯაფარიძემ, ნესტ. ვასილ. ფრუიძემ, ანდრია კონ. ღლონტმა, აკაკი ესტ. ფრანგიშვილმა, გიორგი იოსებ. კვირკველაძემ, ბესარ. ლეონტ. ნადერეიშვილმა, გრიგოლ ცინცაძემ, ლავრენ. ათან. ღლონტმა, ისააკი ექვთ. ჭანუკვაძემ, ისააკი ის. ფიჩხავამ, კოლ. ხარ. ნადარეიშვილმა, ივსახი გიორ. ბანძლაძემ, დიმ. ნიკ. ჩიტაძემ, ბესარ. ლ. სურგულაძემ, ნიკო სვიმ. ბრეგვაძემ.

**ათ-ათი შაური:**

ბართლ. მურზას წულაიამ, თევდორე ბეგლარ. თოდრიამ.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## საჭიროა ტყემლის ტყლაპის კარგი მკეთებელი

**მისამართი:** სიღნაღი, ნ. ახმეტელაშვილი

(3-136-3)

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, | . 7 „ | 58 „ | საღ. |

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის**

**მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი **საზოგადოება,** თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში ◊ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

**მხოლოდ და მარტო ლაღიძის** წყალია მომზადებული სრულიად **უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუ**კეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

## თევზის მრეწველნი ძმ. ძეძველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. ზაილოვის-ზვით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი **„„მეშოჩნი“ ხიზილალა,** აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის **ზუთხი, თართი, ფარგა** და **ლოქო,** გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი **კონსერვები** და **სარდინკები** რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.